პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 182 (15092)

11 აგვისტო ოთხშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი და ცხოვრება

კიდევ უფრო განვავითაროთ სახალხო განათლება და სოციალისტური კულტურა, სრულვყოთ სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი. გავაუმჯობესოთ პედაგოგთა კადრების მომზადების ხარისხი და ავამაღლოთ მათი კვალიფიკაციის დონე. გავაძლიეროთ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ახალგაზრდობის მიდრეკილებათა და კვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით. — აი პროგრამა, დასახული ჩვენი პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის მიერ. ამ პროგრამის განუხრელმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა სკოლის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება.

ბუნებრივია, რომ მასწავლებელთა ტრადიციულ აგვისტოს თათბირზე დიდი სჯა-ბაასი იქნება სწორედ ამ დიდი პროგრამისა და მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ.

პედაგოგთა დიდმა ფორუმებმა უნდა მოახდინონ არა მარტო განვლილი მოღვაწეობის შეჯამება-ანალიზი, არამედ აგრეთვე დასახონ პედაგოგიურად სრულყოფილი ღონისძიებანი ჩვენს სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის გასაუმჯობესებლად იმ პროგრამის საფუძველზე, რაც პარტიის XXIV ყრილობამ დაგვისახა.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ თავდადებულ ბრძოლას მეცხრე ხუთწლედისათვის. ჩვენი სკოლა მხარს უნდა უბამდეს მშრომელთა ამ ბრძოლას. ეს კი გულისხმობს ნორჩი თაობის აღზრდას მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით და პრაქტიკული ცხოვრებისათვის მზადყოფნით, იმის უნარით, რომ აშენოს ცოდნით და შეგნებით, იყოს საზოგადოების აქტიური წევრი.

ეს ამოცანა ავალებს რესპუბლიკის ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სახალხო განათლების ორგანოებს — განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ახალი პროგრამებით სწავლებაზე ორგანიზებული გადასვლისათვის. ყოველი ღონისძიებით უნდა ვამაღლებდეთ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, ვებრძოდეთ მეორეწლიანობას, სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის სალიკვიდაციოდ, ვამაღლებდეთ პედაგოგთა კადრების პროფესიულ ოსტატობას და პასუხისმგებლობას, განვამტკიცებდეთ სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვაძლიერებდეთ მუშაობას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის. ყოველივე ამის შესახებ მსჯელობა ჰქონდათ რესპუბლიკის კომუნისტებს თავიანთ დიდ ფორუმზე — საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე.

რესპუბლიკის პედაგოგთა თითქმის ოთხმოცათასიან არმიას კარგად აქვს შეგნებული ამოცანათა მთელი სერიოზულობა. ამიტომაც იგი თავის აგვისტოს თათბირზე დიდი მიღწევების ფონზე ღრმა ანალიზს გაუკეთებს დაბრკოლებებსა და მათ მიზეზებს, დასახავს ქმედით ღონისძიებებს იმისათვის, რომ კომუნისტური პრინციპულობით იბრძოდეს ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში არსებული ხარვეზების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის სკოლებში წარმატებით დამთავრდა 1970-1971 სასწავლო წელი. ახლა ამ საზაფხულო არდადეგებზე ისვენებს და ახალი სასწავლო წლისათვის ჯანღონეს იკრებს მილიონზე მეტი მოსწავლე. საგულისხმოა, რომ წლევანდელი სასწავლო წელი სკოლაში სწავლის უკანასკნელი წელი იყო 66 ათასი ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის. მათი ნაწილი განაგრძობს სწავლას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, დანარჩენი გავა შრომის ფრონტზე. პედაგოგთა მრავალათასიანმა არმიამ ღირსეულად ჩააბარა ცხოვრების პასუხსაგები გამოცდა ამ სასწავლო წელს, რომელიც დაემთხვა პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

გასულმა სასწავლო წელმა ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად კარგად ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები, როგორ ამზადებს სკოლა კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ მშენებლებს. წლის შედეგებმა ცხადყო, რომ ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის საერთო დონე, გაუმჯობესდა მათი წიგნიერება. ამას ცხადყოფს გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგები. მოსწავლეები მეტ ინტერესსა და ცოდნას იჩენენ მშობლიურ ლიტერატურაში, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის დარგში, რაც ნათელი გახდა ამ საგნებში მოწყობილ მოსწავლეთა ოლიმპიადებზე, რომელთა მონაწილე ახალგაზრდების რიცხვი გაიზარდა.

განათლების ორგანოები პრაქტიკამ დაარწმუნა, თუ რა სიკეთე მოაქვს ცალკეული საგნების გაღრმავებული შესწავლის კლასების შემოღებას. ეს მეთოდი კვლავაც გაფართოვდება — განხორციელდება ფიზიკის, მათემატიკისა და სხვა საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლების რაოდენობის გაზრდის კურსი.

პედაგოგთა აგვისტოს თათბირზე უთუოდ ფართოდ იქნება წარმოდგენილი საინტერესო გამოცდილება სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა გამოყენებაში, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვაში, ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე ზოგიერთი კლასის გადაყვანაში; იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ უბამენ მხარს პედაგოგები ცხოვრებას, როგორ იღრმავებენ და იფართოებენ ცოდნას ახალი გეგმებისა და პროგრამების კვალობაზე, თუ როგორ დადებით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე მასწავლებელთა გადამზადება დახელოვნების ინსტი-ინსტიტუტსა და მის ფილიალებში, აგრეთვე პედაგოგიურ ინსტიტუტებში შექმნილ ფაკულტეტებსა და კურსებზე; როგორ ეხმარება მათ დაუსწრებელი კურსები, სემინარები, კონსულტაციები. თათბირებზე ლაპარაკი იქნება, ცხადია, მოსამზადებელი კლასების სიკეთეზე, მათი მუშაობის გაუმჯობესების მეთოდებზე. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები წარიმართება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის სკოლების ბრძოლის ნიშნით, არ შეიძლება დიდი სჯა-ბაასი არ გამოიწვიოს იმ სამწუხარო ფაქტმაც, რომ წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რვა ათას მოსწავლეს გამოჰყვა საშემოდგომო გამოცდა. მაშ, საჭიროა მეტი ბრძოლა სწავლების მაღალი დონისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები გულისხმიერად უნდა უგდებდნენ ყურს მასწავლებელთა ხმას, მტკიცედ იმახსოვრებდნენ მათ სამართლიან მოთხოვნებს, რაც შეეხება არა მარტო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების საჭიროებებს, არამედ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხებს. ჩვენ ბევრს ვთხოვთ მასწავლებლებს, და ეს ცხოვრებით არის ნაკარნახევი. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზრუნვა და ყურადღება არ უნდა მოაკლდეს სწავლა-აღზრდის მთავარ ფიგურას — მასწავლებელს.

ჩვენმა მასწავლებლობამ, სახალხო განათლების ორგანოებმა არ უნდა დაზოგონ ძალები პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მოზარდი თაობის კომუნისტური მორალით აღზრდისა და მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით შეიარაღებისათვის, ყოველმხრივ სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული, კომუნიზმის ღირსეული მოქალაქეების აღზრდისათვის.

„ლუნოხოდ-1‘: მეათე მთვარის დღე

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 9 აგვისტო. (საქდესი). დასასრულს უახლოვდება წვიმების ზღვაში საბჭოთა მთვარემავლის მუშაობის მეცხრე თვე. ამჟამად ავტომატური აპარატი ახორციელებს კვლევას მეათე მთვარის დღისათვის შედგენილი პროგრამით

6, 7 და 8 აგვისტოს სრულდებოდა გაზომვანი სტაციონარულ მდგომარეობაში 8 აგვისტოს მოწყობილი კავშირგაბმულობის სეანსის დროს მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, მთვარემავლის საბორტო სისტემებისა და მეცნიერული აპარატურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ხუთწლედი—ვადამდე!

● **თბილისი.** ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის (დირექტორი კ. კილაძე) კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაიწყო მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. აქ წარმატებით იქნა შესრულებული შვიდი თვის გეგმა: განვლილ პერიოდში მანქანათმშენებლებმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 100,6 პროცენტით გაანაღდეს და გეგმის ზევით 74 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია გაუგზავნეს კვების მრეწველობის საწარმოებს. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 4,5 პროცენტით გაიზარდა.

საწარმოს ბევრმა მუშამ ნაყოფიერი და თავდადებული შრომით გაითქვა სახელი. იმათ შორის, ვინც წარმატებით ეწევა ახალი ხუთწლედის პირველი წლის შრომითს ვახტს, არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამწყობ-ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ი. მაზაბელი, მრანდავი ა. მარტიროსოვი, ხარატი შ. ჯოხაძე. ახლა საწარმოში 45 მანქანათმშენებელი ხუთი დღის გეგმას ოთხ დღეში ასრულებს.

● **წულუკიძე.** (საკ. კორ.). აბრეშუმის ქაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ვ. ბერაძე) ახალ წარმატებებს აღწევს ხუთწლედის პირველი წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფეიქრებმა განვლილ შვიდ თვეში 519 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 433 ათასი მანეთით გადააჭარბეს პროდუქციის რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.660 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი და 20.141 კილოგრამი ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი. გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის ხამი ძაფის გამოშვება გაიზარდა 3,4 პროცენტით, ხოლო ნაგრეხი ძაფისა — 14,3 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ყაირათიანად მუშაობს, უკვე დაზოგა 8.697 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, 1.600 კილოგრამი ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი, 48 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 157 ტონა საწვავი, და ათეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

● **ახმეტა.** (საკ. კორ.). სეზონის ცხარე დღეებია ახმეტის საკონსერვო ქარხანაში (დირექტორი ს. ყურამიძე). ახლა აქ დიდი რაოდენობით ამზადებენ კვლის მურაბას, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს. 7 თვეში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 105,7 პროცენტით, გეგმის გადამეტებით სავაჭრო ორგანიზაციებმა მიიღეს 37 ათასი მანეთის პროდუქცია. ახმეტური კონსერვები დიდი რაოდენობით იგზავნება საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში. წელს მარტო კემეროვოს ოლქში გაიგზავნა 1.200 ათასი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი.

● **ხულოს** რაიონის პაქსაძეების კოლმეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების ზრდას დიდი ყურადღება ექცევა. ამიტომაც არის, რომ ჯერ კიდევ 10 ივლისისათვის შევასრულეთ წლიური გეგმა, ვაწარმოეთ 38.200 კილოგრამი რძე.

თავდადებული შრომით

ფერმის მუშაკთა შორის დიდი წარმატება მოიპოვეს ქ. ანთაძემ, ე. ბოლქვაძემ, ს. გელაძემ და სხვებმა. ჩვენი ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მივიღოთ 10 ტონა რძე. (ი. ანთაძე).

● **ცხაკაია.** (საკ. კორ.). რამდენიმე წელია კარგად მუშაობს გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ო. შალამბერიძე). ასეა მიმდინარე წელსაც. გეჯეთელებს, დაგეგმილი ჰქონდათ მოეკრიფათ 370 ტონა ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად გეგმა კარგა ხანია გადაჭარბებით გაანაღდეს. ახლა ჩაი აქ იკრიფება ვალდებულების ანგარიშში.

შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან მეჩაიეები ი. გადელია, ნ. ხორავა, ვ. ბაზაძე, ტ. ოჩიგავა, ბ. და ლ. კუპრეიშვილები, ე. თურქია, გ. სვეტლიჩნაია და სხვები. გეჯეთელი მეჩაიეების გადაწყვეტილებაა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაის ფოთოლი.

მათ ისახელეს თავი

თითქმის ოცდაათი წელია, რაც კარლო გვენცაძე ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოში მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში იგი არა მარტო სრულყოფილად დაეუფლა ხარატის პროფესიას, არამედ ბევრი ახალგაზრდაც აღზარდა. ამ ცოტა ხნის წინათ კ. გვენცაძეს საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიენიჭა. თავდადებული შრომისათვის მოწინავე ხარატი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. სურათზე: თბილისის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე ხარატი კ. გვენცაძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა 26 ივლისისათვის მოკრიფეს 20.630 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური დავალების 80 პროცენტს შეადგენს. ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩაის საკრეფი მანქანების მექანიზატორებს. კარგად მუშაობენ ეს მანქანები ციხისძირის კოლმეურნეობაში. უკვე მოკრეფილი აქვთ 80 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. მექანიზატორების ვალდებულებაა წელს მოკრიფონ 45 ტონა „მწვანე ოქრო“.

სურათზე: ციხისძირის კოლმეურნეობის მექანიზატორი შ. დუდუჩელიძე მის მიერ მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხვავთან.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გარდამავალი დროშები, პრემიები

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1971 წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს არამადნეული წიაღისეულის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს, რომელმაც გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გაერთიანების კლუბში გაიმართა გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ჯარდოშვილმა კოლექტივს მიულოცა გამარჯვება და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს არამადნეული წიაღისეული საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ა. დათუაშვილს.

საქართველოს არამადნეული წიაღისეული საწარმოო გაერთიანებაში შედის მარნეულის არამადნეული მასალების მეთაური ქარხანა, ქუთაისის სამსხვრევ-სახარისხებელი ქარხანა და ჭოროხის ინერტული მასალების ქარხანა. გაერთიანების პროდუქციას — ბაზალტის ქვას, კირქვას, ღორღს და გამდიდრებულ ქვიშას იყენებს რესპუბლიკის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია. ეს მასალები განსაკუთრებით საჭიროა გზატკეცილების მშენებლობისათვის.

სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის მეორე კვარტალის გეგმა გაერთიანების საწარმოებმა შეასრულეს 114,5 პროცენტით. ერთი მუშის გამომუშავებამ შეადგინა დავალების 120,8 პროცენტი. (საქდესი).

მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით ბევრმა საწარმომ გაიმარჯვა საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

თბილისის № 3 წისქვილკომბინატის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქსამთოქიმმრეწვის ტრესტის კოლექტივმა მიიღო სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატსა და ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის ანგარიში 1971 წლის 27-29 ივლისს ბუქარესტში გამართული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიის შედეგების შესახებ.

როგორც აღინიშნა, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიაზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობისა და მათი სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების შემდგომი გაღრმავების და სრულყოფის კომპლექსური პროგრამის მიღება გამოხატავს სოციალისტური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებას განახორციელონ მათი ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის გრძელვადიანი პრინციპული მიზნები, რომლებიც განსაზღვრეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა მოსკოვში გამართულ XXIII (სპეციალურ) სესიაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპლექსური პროგრამა მიაჩნიათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტად. პროგრამის ღონისძიებათა შესრულება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს საშუალებას მისცემს უფრო სრულად გამოიყენონ მეურნეობის სოციალისტური სისტემის, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების უპირატესობანი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობასა და შეკავშირებას, გააძლიერებს სოციალიზმის პოზიციებს სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საბჭოთა კავშირის კომპეტენტურ ორგანოებს ავალებენ უახლოეს დროში დაამთავრონ იმ ორგანიზაციული და სხვა საჭირო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპლექსური პროგრამის შესრულებას.

მოწონებულ იქნა სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტები თბილისში

10 აგვისტოს კიევიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკის საქალაქო ტრანსპორტის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ჰერბერტ დესიმონი. საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, განაცხადა მან, გავეცნოთ საქალაქო ტრანსპორტის განვითარებისა და ექსპლოატაციის დაგეგმვის პრაქტიკას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ჩამოსვლის დღეს ამერიკელი სპეციალისტები მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. სტუმრები ესაუბრნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. ლაბახუას.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრი გ. რობიტაშვილი, კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. დოლიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. გოშაძე, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი ნ. ბერიძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ი. ჩხენკელი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი კონსულტანტი გ. მესხიშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტებმა დაათვალიერეს მეტროპოლიტენის სადგურები, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს მცხეთაში.

საღამოს საქართველოს სსრ მთავრობის სახელით დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა ვახშამი. (საქდესი).

ახალგაზრდობის საერთაშორისო სემინარი

ბათუმი. 9 აგვისტო. (საქდესი). აქ გაიხსნა ახალგაზრდობის საერთაშორისო სამმხრივი ტრადიციული შრომითი ბანაკ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა „მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ახალგაზრდობის უფლებებისათვის ბრძოლის აქტუალურ პრობლემებს“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა ახალგაზრდობისა და დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კვაკერთა ორგანიზაციების 24 წარმომადგენელი. მათ შორის არიან ახალგაზრდა მუშები, მეცნიერები, პედაგოგები, მედიკოსები, სტუდენტები და ჟურნალისტები.

სემინარის პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ მისმა მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარის რ. გოგლიძის საუბარი თემაზე: „საქართველოს ისტორია და რესპუბლიკის ახალგაზრდობის როლი კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში“.

ბათუმელ მეზღვაურთა კლუბის ინტერნაციონალურ სექტორში გაიმართა ბათუმის ახალგაზრდებისა და სემინარის მსმენელთა შეხვედრა. ისინი მიიღო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

ბათუმის საერთაშორისო სემინარი ორ კვირას გაგრძელდება. მისი მონაწილენი იმუშავებენ სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში და სხვა მეურნეობებში, ეწვევიან ქალაქ ბათუმის ფაბრიკებსა და ქარხნებს, შეხვდებიან ახალგაზრდა მუშებსა და აჭარის მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკებს, მოაწყობენ დისკუსიებს საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

მეექვსმილიონე დამთვალიერებელი

მოსკოვი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე შესასვლელი ბილეთი, რომელიც 9 აგვისტოს იყიდა ყაზანელმა ინჟინერმა ვ. გ. კოსინოვმა, მოულოდნელად ბედნიერი აღმოჩნდა. მრიცხველებმა აღნიშნეს, რომ თათრეთიდან ჩამოსული სტუმარი გახდა გამოფენის მეექვსმილიონე დამთვალიერებელი წლის დამდეგიდან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორმა კ. ი. მიხაილოვმა გულთბილად მიულოცა ვ. გ. კოსინოვს და გადასცა პატარა ტულური სამოვარი, გამოფენაზე მოყვანილი ვარდების თაიგული, სამახსოვრო მედალი და მუდმივი საშვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. (საკდესის კორ.).

ჭაობები უკან იხევენ

კიროვაბადი. (აზერბაიჯანის სსრ). მტკვრის ნაპირებზე დაიწყო დაჭაობებული მასივის დაშრობა. მტკვრისპირა დაბლობის ჭაობების დაშრობა საშუალებას იძლევა ბრუნვაში მოაქციონ კიდევ 1250 ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, რომლებზეც ადგილობრივი მეურნეობანი გააშენებენ ვენახებს, ბაღებს, დათესენ მარცვლეულსა და საკვებ კულტურებს. უკვე მომავალ წელს პირველ ასობით ჰექტარს გადასცემენ საექსპლოატაციოდ. (საკდესის კორ.).

რაზდანის ხეობის ახალშენებანი

ერევანი. (საკდესის კორ.). მდინარე რაზდანის თვალწარმტაც ხეობაში იქმნება დასასვენებელი ზონა, რომელიც გარშემო ერტყმის ქალაქის ახალშენებათა ჩრდილოეთ ნაწილს. აქ ახლახან დაიწყო სანახაობათა არენის მშენებლობა პაილევანებისათვის.

პაილევანებს ჯერ კიდევ ძველად უწოდებდნენ სომხეთში მარდ და გაბედულ ადამიანებს, რომლებიც გრძელი ჭოკით ხელში ჟონგლიორობდნენ მაღლა გაჭიმულ ბაგირზე. ეს ხელოვნება დღესაც ცოცხლობს ხალხში. ორიგინალური ფორმის შენება, რომელსაც „ერევანპროექტის“ ინსტიტუტის შთანაფიქრით ქმნიან, ტრიბუნებზე დაიტევს 1.500 მაყურებელს. მწვანე არენა საჭირო შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს მოჭიდავეთა, მოკრივეთა, ტანმოვარჯიშეთა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლთა შეჯიბრების ადგილად. აქ იქნება აგრეთვე სცენა თვითმოქმედი და პროფესიული ანსამბლების, აგრეთვე მომღერალთა დიდი საგუნდო კოლექტივების გამოსვლებისათვის.

მოკლედ, მეტყველად

● **მოსკოვი.** 10 აგვისტოს კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერთა და სპეციალისტ-მებაღეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

● **რიგა.** ლატვიის სამშენებლო ორგანიზაციებმა მიიღეს ახალი ლამაზი მოსაპირკეთებელი მასალა — პოლივინილქლორიდის აფსკით დაფარული ფილები, რომელთა წარმოება აითვისა რიგის ცემენტ-შიფერის ქარხანამ.

● **დონის კალაჩი,** (ვოლგოგრადის ოლქი). ქალაქ კალაჩის რაიონში დაიწყო ავტოსაგზაო ხიდის მშენებლობა დონზე. ხიდი ერთიანი ავტოსაგზაო ტრასით დააკავშირებს ვოლგოგრადისა და როსტოვის ოლქებს, ვოლგისპირეთისა და დონგალმა რაიონებს.

● **ხარკოვი.** ვ. ა. მალიშევის სახელობის სატრანსპორტო მანქანათსაშენებელ ქარხანაში დაამზადეს ახალი დიზელი „2 დ 70“, რომლის სიმძლავრეა სამი ათასი ცხენის ძალა. აგრეგატი გათვალისწინებულია მძლავრი სამაგისტრალო თბომავლებისათვის. დიზელი ლოკომოტივს საშუალებას მისცემს სამგზავრო შემადგენლობით განავითაროს სიჩქარე საათში 160 კილომეტრამდე, ხოლო სატვირთო შემადგენლობით — 120 კილომეტრამდე.

● **ტაშკენტი.** უზბეკეთში შეიქმნა ახალი ინსტიტუტი — შუა აზიის „ყაძირმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი. მისი ამოცანაა ყამირის მეურნეობანი უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციით ცენტრალური კარმიდამოების, საველე ბანაკების, ფერმების, სახელოსნოების, ნავთობის ბაზების, საწყობების ასაშენებლად.

● **ბაქო.** აზერბაიჯანის სპეციალიზებული მეფუტკრეობის მეურნეობებში დაიწყეს თაფლის გამოწურვა. მოკლე ვადაში დამზადებულია 1.700 ცენტნერი სურნელოვანი პროდუქცია — სამჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

პარტიული ცხოვრება

როცა საქმეს მოთავე უჩნდება

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და პარტიული ორგანიზაციები

ტექნიკურ პროგრესს ხატოვნად წარმოების ფრთებს უწოდებენ სავსებით სამართლიანადაც: მას წარმოება, ისევე როგორც ფრთები ფრინველს, ახალ სიმაღლეზე აჰყავს. ამიტომ სკკპ XXIV ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ყველა რეზერვის უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე.

მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის — რუსთავის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო კომიტეტი, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის უმაღლესი ფორუმის მითითებებით, სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

წელს პარტიის საქალაქო კომიტეტმა ორჯერ იმსჯელა ქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე წარმოების ეფექტურობის ამაღლებაზე. ამასთან ერთხელ ეს საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განვიხილეთ, ხოლო მეორედ — პლენუმზე. ორივე შემთხვევაში წინა პლანზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი წამოვწიეთ და მათ მოქმედების სწორი, კონკრეტული პროგრამა დავუსახეთ. ახლა პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ძირითად ყურადღებას მიაპყრობენ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულად და რაციონალურად გამოყენებას, მოწყობილობათა განახლებას, თანამედროვე ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვას.

მეტალურგიული ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე) და საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა ამოქმედეს და წარმოების სამსახურში ჩააყენეს ბევრი გამოუყენებელი რეზერვი.

კარგად იბრძვიან წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის აგრეთვე ამწემშენებელი ქარხნის კომუნისტები. აქ შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ ხელი შეუწყო არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდას, არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

შეჯამებულია ნახევარი წლის შედეგები. ქალაქის მრეწველობამ პროდუქციის საერთო წარმოებასთან ერთად დიდი გადამეტებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოებთან ერთად შრომის ნაყოფიერების ზრდის კარგი მაჩვენებლები აქვთ ქიმიურ და ცემენტის ქარხნებს, აგრეთვე ქარხნებს „ელექტროსამაგრებსა" და „სტროიდორმაშს".

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. რკინაბეტონისა და სამშენებლო მასალების კომბინატებში, ლითონკონსტრუქციისა და სხვა ქარხნებში ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა აღნიშნულ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ანალიზი გაუკეთა ადგილებზე არსებულ მდგომარეობას და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის შესრულებისაკენ არის ახლა მიპყრობილი ჩვენი მთავარი ყურადღება.

ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში კომუნისტთა ინიციატივით შემუშავდა შრომის მექანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, დანადგართა სრულყოფის კონკრეტული გეგმები, რომელთა განხორციელება საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტის სწრაფი ზრდის სრულ გარანტიას გვაძლევს.

ბევრი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა მეტალურგიულ ქარხანაში. აქ დანერგეს 7 ტონიანი სხმულების ჩამოსხმა, ბოყვის ზესადგამების ეგზოთერმული შემოგოზვა, ბრძმედის ღუმელების ქშინებზე ბუნებრივი გაზის ნახევრადავტომატური განაწილება, საგლინავ საამქროში გამახურებელი ღუმელების უჯრედების ბლოკური რემონტი, სამუფტე ნამზადებისა და მაზვილკედიანი მილების პლაზმური ჭრის აგრეგატი და სხვ. არანაკლებ საინტერესო გამოდგა დოლომიტის საკაზმე ღუმელზე ჩატვირთვითი სამუშაოების ავტომატიზება.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად, რაც ამ ქარხანაში კომუნისტთა ინიციატივით უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე განხორციელდა, მიღწეულია ორ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომიური ეფექტი.

წარმოების ეფექტურობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოწყობილობათა მოდერნიზაცია. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს და ცდილობენ გონივრულად გამოიყენონ წარმოების ეს რეზერვი. სულ უფრო აქტიურად ახდენენ დანადგარ-მოწყობილობის სრულყოფას ცემენტისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კომუნისტები. უკანასკნელ ხანებში აქ ამ მხრივ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ათეულ ათასობით მანეთი დაგვიზოგა.

ყურადღების ღირსია ამწემშენებელი ქარხნის კომუნისტთა მიერ ამ ბოლო დროს განხორციელებული ღონისძიებანი. მაგალითად, აქ ათვისებულმა ლითონის პლაზმურმა ჭრამ სამჯერ აამაღლა შრომის ნაყოფიერება. უფრო მეტიც. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ავტომატური და ნახევრადავტომატური შედუღების ათვისებას, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და როცა შედეგიც დაიანგარიშეს, გამოირკვა, რომ ამ ტექნიკურმა სიახლემ 25 პროცენტით გაზარდა შემდუღებლის შრომის ნაყოფიერება. წელს ქარხანაში განხორციელდა ახალი ტექნიკის დანერგვისაკენ მიმართული 12 ღონისძიება, რომელთა ეკონომიურმა ეფექტმა ექვს ათეულ ათას მანეთს გადააჭარბა. ყველა ამ ღონისძიების განხორციელების თაოსნები ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ზ. ნაცვლიშვილი) და მისი კომუნისტები იყვნენ.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ბევრ საწარმოში ზერელედ ეკიდებიან ტექნიკურ პროგრესს. არის შემთხვევები, როცა ცალკეულ საწარმოებში არ სრულდება ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციების გულგრილი მუშაობის შედეგად. მაგალითად, ქიმიურ კომბინატში მიმდინარე წლის ხუთ თვეში 15 ღონისძიებიდან განახორციელეს მხოლოდ 4, ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში — თოთხმეტიდან 7. ასევე ცუდად დგას ახალი ტექნიკის დანერგვის საქმე საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოებში. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ საქალაქო კომიტეტის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა შედეგად ჩამოთვლილ საწარმოებში სურათი მკვეთრად შეიცვალა. საწარმოთა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა კარგად შეიგნეს ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა და პრაქტიკულად გადაწყვიტეს წარმოების მთელი რიგი საპრობლემო საკითხები. ამან დადებითი გავლენა იქონია პროდუქციის წარმოების ზრდაზე. მაგალითად, უკანასკნელ დროს საშენ მასალათა კომბინატში ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის წარმოება.

კომუნისტებმა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ პირობად მიიჩნიეს სამრეწველო-საწარმოო ფონდების რაციონალურად გამოყენება. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ფონდების მნიშვნელოვნად გაზრდა უარყოფითად მოქმედებს თვით სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდაზე.

რა იწვევს ფონდების არასწორად ხარჯვას? ამ საკითხს ანალიზი გაუკეთეს მეტალურგიული და ამწემშენებელი ქარხნების კომუნისტებმა. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფონდების არასწორი გამოყენება უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია საექსპლოატაციოდ ახლადგადაცემულ სიმძლავრეთა ნელი ათვისებით და დანადგარ-მოწყობილობათა არასრული დატვირთვით. ამ მიზეზების თავიდან ასაცილებლად ქალაქის ბევრ საწარმოში დაიწყო ლაშქრობა სიმძლავრეთა მაქსიმალურად ათვისებისა და დანადგართა სრული დატვირთვისათვის. ამ დევიზით გაჩაღებულ ბრძოლას უკვე პირველი გარკვეული შედეგებიც მოჰყვა. ახლა უკეთ, ვიდრე ოდესმე, იყენებენ სამუშაო მექანიზმებს ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, ქიმიურ კომბინატში და სხვა საწარმოებში.

აღსანიშნავია, რომ ამ საყოველთაო-სახალხო საქმის მოთავენი კომუნისტები არიან.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია ძირითად საშუალებათა თვითეული ერთეულიდან მიღებულ იქნას რაც შეიძლება მეტი პროდუქცია. და ისეც საუკეთესო რეზერვი აღმოჩნდა წარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. შეჯამებულია ამ მიმართულებით გაწეულ ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტი — სამი მილიონი მანეთი ეკონომია ნახევარ წელიწადში.

ამჟამად პირველადი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ არ შეანელონ ყურადღება წარმოების ეფექტურობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორისადმი, როგორიც არის არსებული რეზერვების გამოვლინება და ამოქმედება. ამ მხრივ მისაბაძია კომუნისტ რაციონალიზატორთა მაგალითი. ამას წინათ მოეწყო რაციონალიზატორულ წინადადებათა დათვალიერება-გასინჯვა. საგულისხმოა მისი ზოგიერთი მონაცემი. საწარმოებში შემოსულია კომუნისტთა 1.200-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება. აქედან ნახევარი უკვე დანერგილია წარმოებაში და მათი ეკონომიური ეფექტი ოთხ მილიონ მანეთს აღწევს. გარდა ამისა, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად წარმოებიდან გამოთავისუფლდა 150 კაცი, რომლებიც ახლა წარმოებაში უფრო პასუხსაგებ უბნებზე მუშაობენ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ცოტა ღონისძიებებს როდი ახორციელებენ შრომითი და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ ფაქტმაც დადებითი გავლენა იქონია წარმოების ეფექტურობის ამაღლებაზე. მიმდინარე წლის 6 თვეში წინა წლის სათანადო პერიოდთან შედარებით ორჯერ და მეტჯერ შემცირდა სამუშაოს გაცდენათა რაოდენობა. თითქმის სამჯერ არის შემცირებული უხელფასო შვებულებებით გამოწვეული დანაკლისი.

საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენი ქალაქის თითქმის ყველა საწარმო განიცდის მუშახელის ნაკლებობას. ამიტომ ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თვითეული მუშის მიერ ნორმების გადამეტებით შესრულებას. ამ საქმეში კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ცხოვრებით ნაკარნახევ და პრაქტიკით გამართლებულ ისეთ კარგ წამოწყებას, როგორიც არის შჩეკინოს მეთოდი. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად არის საქმე ქიმიურ კომბინატში. მოხდენილად გამოიყენეს რა აქ შჩეკინოელთა მეთოდი, შეძლეს სამუშაოდან გამოეთავისუფლებინათ 240 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. ამან წარმოებაში შექმნა ხელფასის ფონდის ეკონომია 185 ათასი მანეთის რაოდენობით. აქ თავის მხრივ ყურადსაღებია კომბინატის პარტიული კომიტეტის (მდივანი ი. წირღვავა) მრავალმხრივი და საინტერესო ღონისძიებანი.

შჩეკინოელთა მეთოდი კარგად დანერგეს აგრეთვე ქიმიური და ცემენტის ქარხნების პარტიულმა ორგანიზაციებმა (მდივნები შ. შარაბიძე და ნ. რევია). ამ პარტიული ორგანიზაციების კარგი მუშაობა ამას წინათ აღინიშნა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე.

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში წამყვანი როლი ეკუთვნით ადამიანებს, კადრებს. ამ გარემოებამ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების მთელ მრავალმხრივ მოღვაწეობაში წინა პლანზე წამოსწია კადრების სწავლებისა და აღზრდის საკითხები.

ახლა საქმე ეხება იმას, თუ რამდენად არიან მომზადებული ჩვენი ხელმძღვანელი კადრები თეორიულად, როგორია მუშებისა და მოსამსახურეების ძირითადი მასის კვალიფიკაცია, მათი კულტურულ-ტექნიკური ჰორიზონტი. ქალაქში კადრების თეორიული ცოდნის დონის ამაღლებას და კულტურულ-ტექნიკური ჰორიზონტის გაფართოებას ემსახურება პარტიული განათლების განშტოებული ქსელი, სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, ნოვატორთა გამოცდილების სკოლები, შეჯიბრება მუშათა დასტატებისათვის, საუბრები, ლექციები, მოხსენებები და სხვ.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ მაინც ყველაფერი როდია. მუშაობის პროცესში მოგვიხდება მრავალი რთული საკითხისა და პრობლემის გადაწყვეტა. პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ხელთ აქვთ მოქმედების სახელმძღვანელო — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, უფრო სრულყოფენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, რომ მიაღწიონ წარმოების ეფექტურობის შემდგომ ამაღლებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და არსებული რეზერვების ამოქმედების საფუძველზე.

ზ. ჩხეიძე,
საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ქალაქის საქმიანი შეფობა

სოფელს ეხმარებიან

1. მაღაროელები

ჭიათურის მრეწველობა მჭიდრო ურთიერთობაშია სოფელთან. მაღაროელი ცხოვრობს სოფლად, მუშაობს მარგანეცის მაღაროებში. ალბათ იშვიათად მოიძებნება ისეთი ქალაქი, სადაც ასე ორგანულად იყოს დაკავშირებული მრეწველობა სოფელთან. უსათუოდ ამითაც არის განპირობებული, რომ მაღაროთა კოლექტივები საქმიან შეფობას უწევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობას.

ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა სოფელ ზოდის კოლმეურნეობას გადასცა სამი ტონა ქვანახშირი, 13 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, მოუწყო თევზსაგუბარი, საიდანაც ყოველწლიურად 25 ტონამდე სამრეწველო თევზის მიღებას ვარაუდობენ. ამავე მაღაროს კოლექტივმა სოფელ ხვაშითის კოლმეურნეობას გადასცა 10 კუბური მეტრი ხე-ტყე, 2 ტონა ძველი რელსი, ელექტრომოტორი წისქვილისათვის.

სოფელ სარქველეთუბნის კოლმეურნეობას საქმიანად ეხმარება ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც სოფელს დაუმზადა 25 სახნისი, გადასცა 7 კუბური მეტრი ხის მასალა, მეცხოველეობის ფერმაში გაუყვანა ელექტროგანათება. მაღაროელებმა რგანის სასოფლო საბჭოს მისცეს სამი ტონა ცემენტი, 600 გრძივი მეტრი წყლის მილი, მიუზიდეს სასოფლო საბჭოს ეზოს შემოსაღობი ქვა, დაუმზადეს რკინის ჭიშკარი.

კალინინის სახელობის მაღაროს ხელმძღვანელობამ სოფელ ხალიფაურის კოლმეურნეობას გზების მშენებლობისათვის მიუზიდა 600 კუბური მეტრი ხრეში, მისცა 15 კუბური მეტრი სამასალე ხე-ტყე, 500 გრძივი მეტრი წყლის მილი, ძველი რკინა. მაგრამ მაღაროს დირექცია ჯერ კიდევ ვალშია კოლმეურნეობასთან, სადაც კალინინის სახელობის მაღაროს მუშები ცხოვრობენ. საქმე ის არის, რომ სოფელი ყოველდღიურად ვერ იღებს სასმელ წყალს, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მარგანტრესტის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას შეფობას უწევენ ახალი ითხვისის მაღარო და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკა. ახალი ითხვისის მაღარომ საბჭოთა მეურნეობას გადასცა 20 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, ფარცხები, 40 ტონა ძველი ლითონი, ერთ თვის ათხოვა ტრაქტორი.

კოლმეურნეობებს ეხმარებიან აგრეთვე ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროები, მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები. მაგრამ, სამწუხაროდ, იგივე არ შეიძლება ითქვას სამშენებლო ორგანიზაციებზე, რომლებიც მხოლოდ საშეფო ვალდებულებების აღებით დაკმაყოფილდნენ და პრაქტიკული დახმარება დაივიწყეს. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ჭიათურმშენისა და ბინათმშენებლობის სამმართველოები (უფროსები ნ. სადუნიშვილი და მ. დუშუაშვილი). მათ თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ სოფელ ეწერისა და ვაჭევის საშეფო კოლმეურნეობებში.

აღსანიშნავია, რომ ბევრ მაღაროელს მოსავლელად სოფელში ჩაბარებული აქვს ნაკვეთი და სანიმუშოდ ამუშავებს. მაღაროელები აწყობენ აგრეთვე შაბათობებს და ეხმარებიან კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში.

სასურველია, რომ შეფობა ყოველთვის უფრო საქმიანი, კონკრეტული და თანმიმდევრული იყოს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

2. გვირაბმშენებლები

მეათე წელია, რაც „თბილგვირაბმშენის" № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივი (უფროსი გ. ჯაყელი, მთავარი ინჟინერი გ. ციმინტია) დიდ დახმარებას უწევს ახმეტის რაიონის სოფლებს. ამ ხნის მანძილზე მან ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას აუშენა ცხვრის ფარეხები, სალორეები, საძროხეები, საცხოვრებელი სახლები, აბანო, საშუალო სკოლა, საბრიგადირო სახლები, მარცვლეულის საშრობი და შესანახი საწყობები, მექანიკური სახელოსნოები. ილდარის ზამთრის საძოვრებზე გაიყვანა ათობით კილომეტრი მოასფალტებული და მოხრეშილი გზები, მოაწყო გადახურული კალოები. მარტო შარშან ამ კოლექტივმა ზამთრის საძოვრების მოსარწყავად გაიყვანა 17 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი.

მალე სოფელ ქვემო ალვანის ცენტრში დამთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა, 600-ადგილიანი კეთილმოწყობილი ნაგებობის მშენებლობაზე თავგამოდებით მუშაობენ ი. კობიაშვილის დურგალთა, ვ. იჭირაულის მებეტონეთა, ი. კალმიკოვის მლესავთა და ს. ბექურაიძის მეთუნუქეთა ბრიგადები.

ი. იუკურაძისა და დ. მოზაიძის კომპლექსური ბრიგადები წლის ბოლოსათვის ერთდროულად სამი საღორე ფერმის ჩაბარებას აპირებენ. სოფელ ფიჩხოვანში დაამთავრებენ საძროხე ფერმის მშენებლობას, შენდება საპლანტაციო გზები ქვემო ალვანისა და ბახტრიონის ზვრებში; მისასვლელი გზები მოიხრეშება 8,5 კილომეტრზე.

ს. ალადაშვილის ბრიგადამ დაიწყო ალვანის წყალსადენის მშენებლობა. ალაზნის ნაჟური წყლით მომარაგდება სოფლები ხორბალო, ზემო და ქვემო ალვანი, ფიჩხოვანა და სხვ. 108 კილომეტრი სიგრძის წყალსადენის მშენებლობა მეცხრე ხუთწლედის ბოლოს უნდა დამთავრდეს. წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოდან 25 კილომეტრს გამოივლის ალაზნის წყალი და კასრისწყლის მიდამოებამდე მივა. აქ ბეჯითად მუშაობენ სპეციალისტები ა. ლურსმანაშვილი, ნ. წვერაიძე და ვლ. შალვაძე, აგრეთვე ჯ. გუთანაიძის და არ. ქოქორაშვილის კომპლექსური ბრიგადები. აღსანიშნავია მოწინავე მუშების პ. იდოიძის, ვ. იდოიძის, ა. ქააძის, ს. პეტროსიანის, მ. რაინაულის, მძღოლების ბ. ბაინდურაშვილის, ე. ცისკარაშვილის, ფ. დანიელაშვილის, ი. დაქიურის, ზ. შაიშმელაშვილის საქმიანობა.

№ 212 სამონტაჟო მატარებლის ალვან-ილდარის მშენებლობის უბანმა, რომელსაც გამოცდილი მშენებელი ა. გალდავაძე ხელმძღვანელობს, მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადამდე ადრე საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა.

მშენებლების გადაწყვეტილებაა ყველა სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ.

ვ. გენბიური.
ახმეტის რაიონი.

გავაძლიეროთ ბრძოლა სანიტარიისა და ჰიგიენის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ზაფხულის ცხელ თვეებში საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა პროფილაქტიკის დარგში. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მარტო სამედიცინო ხასიათის ფართო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან როდია დაკავშირებული. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმ სამინისტროებსა და უწყებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს. ეს უწინარეს ყოვლისა არის ვაჭრობის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები. რესტორნების, კაფეების, სასადილოებისა და კვების სხვა ობიექტების მუშაკები.

მაგრამ საზოგადოებრივი კვებისა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის ობიექტების სანიტარიული მდგომარეობის შემოწმებამ, რომელიც მოაწყვეს თბილისში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკებმა, გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სასურსათო დაწესებულებების ყველა ხელმძღვანელი და მუშაკი ჯერ კიდევ არ ეკიდება ჯეროვანი პასუხისმგებლობით სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დაცვას. ამას მოწმობენ გამოვლენილი ფაქტები, როცა უხეშად არღვევდნენ პროდუქტების შენახვის, სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს და რეალიზაციის ვადებს, ზოგიერთი კვებისა და ვაჭრობის მუშაკი არ იცავდა პირადი ჰიგიენის წესებს, ირღვეოდა ვაჭრობის მუშაკების სამედიცინო შემოწმების სავალდებულო გავლის ვადები, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში კი სამედიცინო წიგნაკები არც კი ჰქონდათ. მთელი რიგი ობიექტების ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებიდან, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სანიტარიისა და ჰიგიენის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემოწმების დროს არასახარბიელო მდგომარეობა აღმოჩნდა „თბილხილბოსტანვაჭრობის" № 30 მაღაზიაში (გამგე ა. აბულაძე). იატაკი და კედლები ჭუჭყიანია. ბოსტნეული პირდაპირ იატაკზე ყრია, გასაყიდად გამოტანილია დიდძალი დამპალი ხილი და ბოსტნეული. ამ მაღაზიის კოლექტივი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავს ბუზების მოსასპობად, თუმცა ყველამ იცის, რომ სწორედ ბუზებს გადააქვთ ინფექცია. მაღაზიის ყველა მუშაკი როდი ზრუნავს პირადი ჰიგიენის წესების დაცვისათვის. ბევრს არა აქვს სანიტარული წიგნაკი.

უკეთესად როდია საქმე თბილგასტრონომვაჭრობის № 3 მაღაზიაშიც (დირექტორი დ. სურმავა), გასტრონომიულ, თევზისა და რძის სექციებში. აგრეთვე საწყობში ანტისანიტარიაა. მაცივარ-დახლები გაბინძურებულია პროდუქტებისა და ცხიმის ნარჩენებით, ინვენტარი — დასაჭრელი ფიცრები, დანები და სხვა ჭუჭყიანია. მაღაზიაში ბევრი ბუზია.

ვერც № 1 სასადილოების ტრესტის № 12 გაერთიანებაში (გამგე კ. ღამბაროვა) ნახავთ სისუფთავეს. აქ არღვევენ ჭურჭლის რეცხვის წესებს, არ იყენებენ დეზინფექციურ საშუალებებს. გასაკვირი როდია, რომ უკვე გარეცხილ თეფშებზე აქ აღმოჩნდა საჭმლისა და ცხიმის ნარჩენები. ჭუჭყია სამზარეულოშიც, სამზარეულო ჭურჭელი და ინვენტარი ცუდ მდგომარეობაშია. სამაცივრო კამერა და კარადა სავსეა ხარახურით და დამტვერილია. სრული ანტისანიტარიაა საგარდერობში. აქ არღვევენ სურსათის შენახვის ელემენტარულ წესებს: პური პირდაპირ დახლზე აწყვია, ხორცის ღვეზელებს არ აფარია დოლბანდი. გარდა ამისა კაფეში ბევრი ბუზია. გასაკვირი როდია, რომ № 12 გაერთიანების მუშაკები, რომლებიც არ აქცევენ ყურადღებას სისუფთავეს წარმოებაში, ნაკლებად ზრუნავენ პირად ჰიგიენაზეც, ბევრი მათგანის სამედიცინო მოწმობას ვადა გაუვიდა.

ანტისანიტარიაში გაერთიანებას არ ჩამორჩება არც თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის რესტორანი „თეთნულდი" (დირექტორი ს. კარაკაშიანი). სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკებს რესტორანში მისვლისას საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: რესტორნის სამზარეულო ნაგვით, საჭმლისა და ბოსტნეულის ნარჩენებით იყო სავსე, სამზარეულო ინვენტარი, ჭურჭელი მტვერს დაეფარა. ჭურჭლის სამრეცხაო აქ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ჭურჭელს რეცხავენ ჭუჭყიან როფებში სადეზინფექციო საშუალებების გამოუყენებლად. სუფთა ჭურჭელი და საჭმლის ნარჩენები ერთ ოთახში ინახება.

იატაკი ჭუჭყიანია, საქონელი მტვრიან თაროებზე ალაგია, სრული ანტისანიტარიაა ეზოსა და საწყობში — აი რა გეცემათ თვალში თბილგასტრონომვაჭრობის № 15 მაღაზიაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ფილიევა). მაცივარში ხორცი უსტელაჟებოდ ინახება — პირდაპირ ჭუჭყიან იატაკზე. მაღაზია ბუზებით არის სავსე, ხოლო საწყობში შეამჩნევთ თაგვების კვალს. ამ ობიექტზეც მუშაკები არ ზრუნავენ პირადი ჰიგიენის წესების დაცვისათვის.

სანიტარიისა და ჰიგიენის, პროდუქტების შენახვის ელემენტარულ წესებს არ იცავენ თბილგასტრონომვაჭრობის № 39 მაღაზიაც (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ნატროშვილი). ჭუჭყიანია დახლები, მაცივრები, საწყობები, იატაკი. ხორცს აქ თევზთან, თევზის კონსერვებთან, შაშხთან და სხვა პროდუქტებთან ინახავენ, რაც პროდუქტების შენახვის წესების უხეში დარღვევაა. გასტრონომიულ განყოფილებაში პროდუქტებს, რომლებიც მალე ფუჭდება, ინახავენ მაღალი ტემპერატურის პირობებში, რაც შეუწყნარებელია.

თბილგასტრონომვაჭრობის № 7 მაღაზიაში (დირექტორი ვ. ხუციშვილი) დერეფნები, გასასვლელები და საწყობები სავსეა პროდუქტებითა და ტარით და ძლიერ გაჭუჭყიანებულია. მეტად ცუდ მდგომარეობაშია პირსაბანი. არ არის საპონი, პირსახოცი და სადეზინფექციო საშუალებანი.

უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია № 2 თბილკვებვაჭრობის № 43 მაღაზიის ხორცის სექციაც (მაღაზიის გამგე ს. სხირტლაძე). გასტრონომიულ სექციაში აქ არღვევენ იმ პროდუქტების შენახვის წესებს, რომლებიც მალე ფუჭდება. ზოგიერთი მუშაკი არღვევს პირადი ჰიგიენის წესებს, არ იცავს სამედიცინო შემოწმების ვადებს.

ცუდ სანიტარულ მდგომარეობაშია სამზარეულოები, ჭურჭლის სამრეცხაო, საცხობი და საწყობები თბილისის რესტორანებისა და კაფეების ტრესტის რესტორან „მტკვარზე" № 1 პავილიონ-სამწვადეში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. გორგასლიძე). სამაცივრო დანადგარები აქ გაფუჭებული და ჭუჭყიანია. უხეშად არღვევენ პროდუქტების შენახვის წესებს. ჭურჭლის რეცხვის დროს არ იყენებენ სადეზინფექციო საშუალებებს, ფქვილიანი ტომრები უსტელაჟებოდ ყრია იატაკზე.

მრავალი გაფრთხილების მიუხედავად სანიტარიულ წესებს არღვევენ № 67 (გამგე ლ სიამაშვილი), № 78 (გამგე ვ. ბარამიძე), № 130 (გამგე ა. სიმონიანი), № 83 (გამგის მოვალეობის შემსრულებელი დ. იორდანიშვილი), პურ-ფუნთუშეულის მაღაზიებში. მიუხედავად იმისა, რომ აქვთ დანები და ქაღალდი, პურს მაინც ხელით იძლევიან. პურის თაროები დამტვერილია.

სანიტარიისა და ჰიგიენის წესები ირღვევა აგრეთვე № 1 სასადილოების ტრესტის № 47 გაერთიანებაში (გაერთიანების გამგე ი. სარჯველაძე), № 3 თბილკვებვაჭრობის № 13 მაღაზიაში (გამგე ბ. მარტყოფლიშვილი) და № 1 თბილკვებვაჭრობის № 58 მაღაზიაში (გამგე ვ. გოთუა). აქ არ იცავენ პროდუქტების შენახვის ვადებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის ყველა ზემოაღნიშნული უხეში დარღვევა იმის შედეგია, რომ ზემოხსენებული ობიექტების ხელმძღვანელები, აგრეთვე № 1 სასადილოების ტრესტის (დირექტორი გ. ლაფაჩი), თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის (დირექტორი მ. ლომთაძე) და თბილგასტრონომვაჭრობის (დირექტორი გ. ქარცივაძე) ხელმძღვანელობა არ ახორციელებს საკმარის ღონისძიებებს დაქვემდებარებული ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ამ საწარმოებში სანიმუშო სანიტარიული წესრიგის დამყარებისათვის.

ეს დარღვევანი მოწმობენ აგრეთვე, ნათქვამია დადგენილებაში, რომ შესაბამისი რაიონების სანეპიდსადგურების მთავარი ექიმები არ ახორციელებენ საჭირო სანიტარიულ-ზედამხედველობას, არ იჩენენ საჭირო მოთხოვნებს საზოგადოებრივი კვებისა და კვების პროდუქტების ვაჭრობის ობიექტების ხელმძღვანელებისადმი. მთელ რიგ შემთხვევებში სანიტარიული ზედამხედველობა ობიექტებისადმი დავალებული აქვს საშუალო პერსონალს, რომელიც კვალიფიციურად ვერ გაუძღვება საქმეს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაადგინა თანამდებობიდან მოხსნას № 1 სასადილოების ტრესტის № 12 გაერთიანების გამგე კ. ღამბაროვა, რომელმაც არაფერი არ იღონა წინა შემოწმების დროს გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

თბილპურვაჭრობას (გამგე ტ. ტატიშვილი) დაევალა განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი თავისი სისტემის მაღაზიებში მკაცრი სანიტარიული წესრიგის უზრუნველსაყოფად. თბილპურვაჭრობის ხელმძღვანელობამ ერთ კვირაში უნდა გადაჭრას საკითხი № 67, 78, 83 და 130 პურის მაღაზიების ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ, სადაც გამოვლინდა პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის გაყიდვისას სანიტარიული წესების უხეში დარღვევათა შემთხვევები.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა თბილხილბოსტანვაჭრობის № 30 მაღაზიის გამგე ა. აბულაძეს ობიექტში ანტისანიტარიული მდგომარეობისათვის, სურსათ-სანოვაგის შენახვის წესების უხეში დარღვევისა და თანამშრომელთა სამუშაოზე დაშვებისათვის სამედიცინო მოწმობის გარეშე.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე რესტორან „თეთნულდის" დირექტორს ს. კარაკაშიანს. რესტორანის „მტკვარზე" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს გ. გორგასლიძეს, თბილგასტრონომვაჭრობის № 3 მაღაზიის დირექტორს დ. სურმავასა და თბილგასტრონომვაჭრობის № 39 მაღაზიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ა. ნატროშვილს.

საყვედური გამოეცხადათ თბილგასტრონომვაჭრობის № 7 მაღაზიის დირექტორს ვ. ხუციშვილსა და № 2 თბილკვებვაჭრობის № 43 მაღაზიის გამგეს ს. სხირტლაძეს.

თბილისის № 1 სასადილოების ტრესტის დირექტორს გ. ლაფაჩს, თბილისის რესტორანებისა და კაფეების ტრესტის დირექტორს მ. ლომთაძეს და თბილგასტრონომვაჭრობის დირექტორს გ. ქარცივაძეს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ იმისათვის, რომ ჯეროვან კონტროლს არ უწევდნენ სანიტარიულ მდგომარეობას, ნათქვამია დადგენილებაში, რის გამოც მათ დაქვემდებარებულ ობიექტებზე კვლავ უხეშად ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური წესები.

სასტიკი გაფრთხილება მიეცათ აგრეთვე თბილისის კიროვის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს თ. კალანდაძესა და ოქტომბრის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს გ. გაფრინდაშვილს, რომლებიც არ ახორციელებენ ჯეროვან სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას საზოგადოებრივი კვებისა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის შესაბამისი ობიექტებისადმი.

თბილგასტრონომვაჭრობის, № 1 სასადილოების ტრესტისა და № 3 თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელობას დაევალათ განიხილონ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაარღვიეს სანიტარიულ-ჰიგიენური წესები თბილგასტრონომვაჭრობის № 15 მაღაზიაში, № 1 სასადილოების ტრესტის № 22 და № 47 გაერთიანებებში და № 3 თბილკვებვაჭრობის № 13 მაღაზიაში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მხედველობაში მიიღო, რომ ადგილებზე შემოწმების დროს თბილგასტრონომვაჭრობის №№ 3, 7, 15, 39 მაღაზიების, რესტორანების „მტკვარზე", „ალაზანი", „თეთნულდი" და № 2 თბილკვებვაჭრობის № 43 მაღაზიის ხელმძღვანელებმა განახორციელეს არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, ხოლო უშუალო დამნაშავენი, რომლებიც არ იცავდნენ სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს, სასტიკად დაისაჯნენ.

გალის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა კონსტიტუციაში" სიმინდის ნათესების მეორე კულტივაცია მიმდინარეობს. ამ სამუშაოებში გამოირჩევა კომუნისტი მექანიზატორი გ. ჭანტურია, რომელიც დღიურ ნორმას 150-180 პროცენტით ასრულებს. სურათზე: საუკეთესო მექანიზატორი, სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ჭანტურია.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქტაგის ფოტოქრონიკა).

> პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „გავადიდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის, განსაკუთრებით საადრეო ჯიშების წარმოება; მათი წარმოებისათვის უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სარწყავი და ნოყიერი მიწები, გავაფართოოთ ამ პროდუქციის სასაქონლო წარმოების სპეციალიზებული ზონები, შევქმნათ ახალი სასათბურე მეურნეობანი".

ბოსტნეულის წარმოების რეზერვები

სამრეწველო ცენტრების ბოსტნეულით მომარაგების სადღეისო პრობლემები

ყველასათვის ცნობილია, რომ პროდუქციის ასორტიმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების მოწესრიგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეში. იგი შეიცავს ორგანიზმის სასიცოცხლო ელემენტებს. მთავარი ის არის, რომ როგორც ღია, ისე დახურული გრუნტის მებოსტნეობის ინტენსიური წარმოება გავხადოთ რენტაბელური. საჭიროა ნიადაგის განაყოფიერება აგროწესებით დადგენილ ვადებში, სითბოსა და ზომიერი რწყვის რეჟიმის რეგულირება, შერჩეულ კულტურათა შემჭიდროებული თესვა, რომ ერთსა და იმავე ნაკვეთზე რამდენჯერმე (2-3-ჯერ) მიღებულ იქნას უხვი მოსავალი.

გასულ წლებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, ქალაქის მშრომელთა ბოსტნეულით მომარაგება გაუმჯობესდა, მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებას.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი 1967 წელს უდრიდა 472.294 ჰექტარს, 1968 წელს — 444.489 ჰექტარს და 1969 წელს — 440 625 ჰექტარს. მათ შორის ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი შეადგენდა: 1967 წელს — 6.229 ჰექტარს, 1968 წელს — 5.662 ჰექტარს, 1969 წელს კი 6.990 ჰექტარს, ხოლო კოლმეურნეობებში ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი იყო: 1967 წელს 469.613 ჰექტარი, მათ შორის ბოსტნეულისა — 6.125 ჰექტარი, 1968 წელს — 461.100 ჰექტარი, ბოსტნეულისა — 6.419 ჰექტარი, 1969 წელს 444.864 ჰექტარი, ბოსტნეულისა — 6.925 ჰექტარი, ანუ ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის 1,6 პროცენტი.

როგორც ჩანს, ერთწლიანი კულტურების ნათესთან შედარებით ღია გრუნტის ბოსტნეულის პროცენტი მცირეა. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონებში კი (გარდაბნის, წყალტუბოს, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონები) მებოსტნეობა წარმოდგენილია უფრო მაღალი პროცენტით.

ახალი ხუთწლედის ბოლოს (1975 წ.) საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეული კულტურები დაითესება 9.900 ჰექტარი, კოლმეურნეობებში კი 9.100 ჰექტარი, ამასთან შეფარდებით გაიზრდება პროდუქციის მოსავლიანობაც ფართობის ერთეულზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო ცენტრების გვიან შემოდგომით, ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე ახალი ბოსტნეულით მომარაგებას.

სწორედ ამ პერიოდში განიცდის მოსახლეობა ბოსტნეულის ნაკლებობას და ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი შევსებულ უნდა იქნას სასათბურე მეურნეობის სწრაფი განვითარებით. 1968 წელს საფუძველი ჩაეყარა საკმაოდ მძლავრი სათბურის მშენებლობას და შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 3 ჰექტარი (გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სათბურის მეურნეობა), ეს მისასალმებელი წამოწყებაა.

ამავე ადგილას წელს დამატებით უნდა დამთავრდეს 3 ჰექტარი ფართობის მოცულობით სათბურის მშენებლობა. ამრიგად, გორის საკოლმეურნეობათაშორისო 6 ჰექტარი სათბურის მშენებლობაზე სულ დაიხარჯება 4 მილიონი მანეთი.

გარდა გორის რაიონისა, მეცხრე ხუთწლედში გარდაბნის რაიონის კრწანისის საბჭოთა მეურნეობაში 60 ათას კვადრატულ მეტრზე უნდა აშენდეს დიდი სათბური, რომლისთვისაც სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით დაიხარჯება 4 მილიონი მანეთი. პირველი 3 ჰექტარი 1971 წელს აშენდება, მეორე 3 ჰექტარი კი 1971-1972 წლებში. მარნეულის რაიონის აკაკი წერეთლის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში 6 ჰექტარ ფართობზე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენდება გიგანტი სათბური (1972-1973 და 1973-1974 წწ.) და დაიხარჯება 4 მილიონი მანეთი, ამდენივე თანხა დაიხარჯება სათბურის მშენებლობაზე გარდაბნის რაიონის კუმისის საბჭოთა მეურნეობაში.

სასათბურე მეურნეობის ძირითადი მიზანია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, რომელიც დამოკიდებულია ფართობის ერთეულზე, საწარმოო დანახარჯების სიდიდეზე, დახარჯული დღეების, სარგავი მასალის ღირებულებისა და მიღებული მოსავლის რაოდენობაზე.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად, ფართობის ერთეულიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობას მოსავალი ეწოდება. ფართობის პროდუქტიულობა კი არის პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც შეიქმნა დროის ერთეულში ფართობის ერთეულზე.

დახურული გრუნტის პროდუქციის თვითღირებულება იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში დღეების იმ რაოდენობასთან, რომელშიც მიღებულ იქნა მოსავალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფართობის პროდუქტიულობასთან და არა მოსავლიანობასთან.

მთელ რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია ვისარგებლოთ არა მოსავლიანობის მაჩვენებლით, არამედ ფართობის პროდუქტიულობით. მოსავლის ერთი და იმავე რაოდენობის დროს ფართობის პროდუქტიულობა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: გორის რაიონის სასათბურე მეურნეობაში შარშან კიტრისა და პამიდორის მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე კრწანისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. კრწანისელთა მცირე მოსავლის მთავარი მიზეზია მიწის ფართობის დაბალი პროდუქტიულობა და სუსტი ტექნიკური აღჭურვილობა.

დახურული გრუნტის პროდუქციის თვითღირებულება დამოკიდებულია მოსავლის ზრდის ტემპზე, რაც იმას მოწმობს, რომ თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა სისტემაში არსებითი როლი ეკუთვნის არა მარტო მაღალი მოსავლის მიღებას (სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად), არამედ მოსავლიანობის ტემპის ამაღლებასა და ფართობის პროდუქტიულობის ზრდას.

როცა ვიცით, საწარმოო დანახარჯები რა ელემენტებისაგან შედგება და როგორ იყენებენ მათ თვითეულ კულტურაზე, ეს საშუალებას გვაძლევს მთელი სიზუსტით განვსაზღვროთ დახურული გრუნტის პროდუქციის თვითღირებულება.

წარმოების აგროეკონომიური ანალიზის მიზანს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მხოლოდ პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება. მისი ამოცანაა წარმოების ისეთი ორგანიზაციის გამონახვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უმცირესი შრომისა და ფულადი დანახარჯებით მივიღოთ მაღალხარისხოვანი ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტი.

წლის განმავლობაში საქართველოს სამრეწველო ცენტრების მშრომელთა ბოსტნეულით განუწყვეტელი მომარაგება დიდმნიშვნელოვანი საქმეა და მეცხრე ხუთწლედში საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მკვეთრად გავადიდოთ ბოსტნეულის მოსავლიანობა. ავამაღლოთ პროდუქტიულობა, ხარისხი, უზრუნველვყოთ უხვი მოსავლის მიღება როგორც ღია გრუნტში, ისე სათბურებსა და კვალსათბურებში.

გ. მინდაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მსოფლიო დღეს

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

საზღვარგარეთის ქვეყნების პრესა და საზოგადოებრიობა შეუნელებელ ინტერესს იჩენს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის თანამშრომლობისა და განვითარების შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის კომპლექსური პროგრამისადმი, რომელიც მიიღო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 25-ე სესიამ.

სოფია. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 25-ე სესიის მიერ მიღებული კომპლექსური პროგრამა, წერს გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“, დამაჯერებლად მოწმობს სკკპ XXIV ყრილობის, ბულგარეთის კომპარტიის X ყრილობის, იმ სხვა მოძმე პარტიების ყრილობათა ისტორიული გადაწყვეტილებების თანმიმდევრულ განხორციელებას, რომლებისთვისაც სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე საერთოდ მთელი თანამეგობრობის პროგრესისა და აყვავების აუცილებელი პირობაა.

პროგრამა სახავს ახალ ჰორიზონტებს მსოფლიო პროგრესის განმტკიცებაში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წვლილის გასადიდებლად, მათი ერთიანობის განსამტკიცებლად, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციის გასაძლიერებლად მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ვარშავა. „ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის სრულყოფის ახალი ეტაპი“, „ურთიერთსარგებლობა“, „დინამიკური განვითარების პროგრამა“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ დღეს პოლონეთის გაზეთები გამოხმაურებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსურ პროგრამაზე.

„გლოს პრაცი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ დიდმნიშვნელოვანი პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური და თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცებას“.

პრაღა. მსოფლიო სოციალისტური სისტემის, კონკრეტულად კი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანიზაციაში გაერთიანებულ სოციალისტურ სახელმწიფოთა განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საჭირო გახდა შეუდგეთ ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, წერს „რუდე პრავო“.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა საერთო საქმიანობის გაერთიანება, რომელიც კონკრეტულად გამოხატავს პროლეტარულ და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას, საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემდგომ ზრდას, ასკვნის გაზეთი.

ბერლინი. სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის კომპლექსური პროგრამა შეესაბამება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეიქრო მანქანათმშენებლობის სახალხო საწარმოთა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გ. დენლერმა ადნის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში.

დელი

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

10 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა პარლამენტის სახალხო პალატაში წაიკითხა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ამასთან სვარან სინგჰმა აღნიშნა, რომ ინდოეთის „მთავრობა მიესალმება ამ ხელშეკრულებას, როგორც მორიგ წინგადადგმულ ნაბიჯს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის და თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე“.

ხელშეკრულება, თქვა მინისტრმა, მასტაბილიზებელი ფაქტორი გახდება მსოფლიოს ამ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში. იგი მიმართული არ არის რომელიმე მესამე ქვეყნის წინააღმდეგ.

„მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ეს ხელშეკრულება მშვიდობიანი ხელშეკრულებაა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი ადასტურებს ჩვენს მიუმხრობლობის პოლიტიკას“.

სვარან სინგჰმა გამოთქვა იმედი, რომ ეს ხელშეკრულება გახდება ნიმუში ინდოეთსა და ამ რაიონის სხვა ქვეყნებს შორის ამგვარ ხელშეკრულებათა დადებისათვის.

10 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან დადებული მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება განამტკიცებს ჩვენს ქვეყანასა და ერს, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მასობრივ მიტინგზე, რომელიც გაიმართა მთავრობის საგარეოპოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად.

მიტინგში მონაწილეობდა ერთ მილიონამდე კაცი, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ინდირა განდიმ განაცხადა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჰაუძღვეს ქვეყანას სოციალიზმის მშენებლობის, სიღატაკისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის გზით.

მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში

ლონდონი

10 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ფოლკნერმა გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალაში შევიდა „საგანგებო უფლებამოსილების კანონის“ დებულება, რომელიც ნებას რთავს გაუსამართლებლად დააპატიმრონ ყოველი „საეჭვო პირი“.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ფოლკნერი გამოაცხადებდა ამ რეპრესიულ ღონისძიებებს, ინგლისის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა და პოლიციამ მთელ ჩრდილოეთ ირლანდიაში დაიწყეს ჩხრეკა-დაპატიმრებანი. მარტო დღეს დილით ასობით კაცი დააპატიმრეს.

მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა მოკლეს ბელფასტის მცხოვრები ჰარი ტორნტონი, წუხელ მთელ ღამეს ბელფასტში, ლონდონდერსა და სხვა ქალაქებში გრძელდებოდა შეტაკებანი მოსახლეობასა და ინგლისის ჯარისკაცებს შორის. არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

მუშათა რაიონებში კვლავ აღმართეს ბარიკადები, საიდანაც მცხოვრებლები თვითნაკეთ ბომბებსა და ქვას უშენენ ჯარისკაცებს. ჯარებმა კვლავ გამოიყენეს „სი-ეს-ის“ გაზი და ცეცხლსასროლი იარაღი.

ბევრი მეთვალყურის აზრით, შეიძლებოდა თავიდან აეცილებინათ მდგომარეობის ასეთი გამწვავება ჩრდილოეთ ირლანდიაში, თუ ინგლისის მთავრობა გადაჭრით მოითხოვდა დაპირებული რეფორმების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ უმუშევრობის, მოსახლეობის კათოლიკური უმცირესობის დისკრიმინაციისა და ტერორის ლიკვიდაციას.

ეს რეპრესიული ღონისძიებანი არათუ ხელს უწყობენ კრიზისის აღმოფხვრას, არამედ კიდევ უფრო ამწვავებენ მას. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ „საგანგებო უფლებამოსილების კანონის“ აღნიშნული დებულება უკვე არა ერთხელ გამოიყენეს. მაგრამ საპროტესტო მოძრაობას ოლსტერში კიდევ უფრო მასობრივი ფორმები მიეცა.

ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცხადებულ ახალ რეპრესიულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ირლანდიის პროფკავშირთა კონგრესის ჩრდილოეთ ირლანდიის კომიტეტმა მოითხოვა დაუყოვნებლივ მოიწვიონ სტორმონტი (ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი), რომელიც დათხოვნილია საზაფხულო არდადეგებზე.

10 აგვისტო. (საკდესი). 14 დახოცილი, ათობით დაჭრილი, 400-ზე მეტი დაპატიმრებული — ასეთია სპეციალური უფლებამოსილების კანონის მოქმედების პირველი დღის შედეგები, რომელიც გუშინ შემოიღეს ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ბელფასტში, ლონდონდერში, ნიურსა და ოლსტერის სხვა ქალაქებში არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა ბომბების აფეთქება და სროლა. დაიწვა ასზე მეტი სახლი. ლონდონდერში აღმართულია უამრავი ბარიკადა. ავტომატით სროლა გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ბელფასტის კათოლიკურ რაიონში ნიუ ბარნსლიში, სადაც გაიმართა ნამდვილი ბრძოლა ინგლისელ ჯარისკაცებსა და ირლანდიელებს შორის.

მზადება ფარსისათვის

ვაშინგტონი. 10 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ნიქსონმა თეთრ სახლში მიიღო ამერიკის ელჩი საიგონში ე. ბანკერი. ამერიკის პრესა ბანკერის სასწრაფო ჩამოსვლას ვაშინგტონში უკავშირებს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც შეერთებული შტატები ახორციელებს საიგონის ხელისუფლების სათავეში თხიეუს ანტიხალხური რეჟიმის შესანარჩუნებლად.

პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, წარმოიშვა სერიოზული პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები შეეცადა სამარცხვინო ფარსის საშუალებით რესპექტაბელობა მიენიჭებინა „სამხრეთ ვიეტნამში პრეზიდენტის მომავალი არჩევნებისათვის“.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, საიგონელი მარიონეტი თხიეუ ამჯობინებს „სპექტაკლს ერთი მსახიობის მონაწილეობით“ და, შეგნებული აქვს რა თავისი რეჟიმის არაპოპულარობა, ყოველი საშუალებით ცდილობს პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობას ჩამოაშოროს ყველა შესაძლო „მეტოქე“.

თეთრი სახლის თვალსაზრისით თხიეუს მოქმედებას შეაქვს, არასასურველი ცვლილება სამხრეთ ვიეტნამში „პრეზიდენტის არჩევნების“ სპექტაკლის სცენარში, რომელიც შემუშავდა ვაშინგტონში.

ბონი

დაძაბულობის შესანელებლად

10 აგვისტო. (საკდესი). ერთი წლის წინათ მოსკოვში ხელმოწერილი სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება „საფუძველია მომავალში საბჭოთა კავშირთან უკეთესი და უფრო ნაყოფიერი ურთიერთობების განვითარებისათვის“, — აცხადებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული პრესისა და ინფორმაციის უწყების ბიულეტენში.

ჩვენ ხელი მოვაწერეთ ამ ხელშეკრულებას, აღნიშნავს ვ. შეელი, იმიტომ, რომ დაძაბულობის შეუნელებლად საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში არ შეიძლება მიღწეულ იქნეს დაძაბულობის შენელება ევროპაში, აგრეთვე წინსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

მოსკოვის ხელშეკრულება, წერს ვ. შეელი, ხელმძღვანელობს ევროპაში „არსებული ნამდვილი მდგომარეობით“. მან ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

* * *

პეკინი უარყოფს

პეკინი. 10 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გამოაქვეყნა ტექსტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებისა, რომელიც უარყოფს საბჭოთა წინადადებას ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესახებ.

როგორც ცნობილია, ამ წინადადებას შეიცავდა საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომელიც გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს. განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა მოქმედება, რათა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი ატომური განიარაღებისათვის.

საბჭოთა ინიციატივას დიდი კმაყოფილებით შეხვდა ყველაზე ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა, აგრეთვე ბევრი სახელმწიფოს მთავრობის წრეები.

მოლაპარაკება დელში

დელი. 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეორედ შეხვდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაგრძელდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგრძელდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სვარან სინგჰის მოლაპარაკება ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ნ. მ. პეგოვი და მინისტრის თანმხლები პირნი ეწვივნენ თვალსაჩინო ინდოელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების მ. განდის, ჯ. ნერუს და ლ. შასტრის კრემაციის ადგილებს და გვირგვინებით შეამკეს.

ტოკიო

უატომო მსოფლიოსათვის

10 აგვისტო. (საკდესი). „შევქმნათ მსოფლიო, რომელიც იცხოვრებს მშვიდობიანად, ატომური იარაღის გარეშე“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა ნაგასაკში იმათი ხსოვნის ცერემონია, ვინც ამ ქალაქში დაიღუპა ამერიკული ატომური ბომბისაგან 26 წლის წინათ.

ატომური ხანძრის დროს, რომელიც მაშინ ქალაქში გაჩნდა, დაიწვა 70 ათასამდე კაცი. ახლა ცნობილია მხოლოდ 43.736 დაღუპულის სახელი. დღეს ამ სიას, რომელიც ინახება აფეთქების ეპიცენტრის ადგილას აღმართულ დაღუპულთა ძეგლის ქვეშ, დაემატა კიდევ 2.035 გვარი. მათ შორის 1.075 ცნობილი გახდა მხოლოდ ახლახან.

11 საათსა და ორ წუთზე — იმ მომენტში, როცა 26 წლის წინათ ქალაქში აფეთქდა ატომური ბომბი — აგუგუნდნენ ქალაქის სამრეკლოები. მათ სირენებით უპასუხეს რეიდზე მდგარმა გემებმა. დაღუპულთა ძეგლთან შეკრებილი 6 ათასზე მეტი კაცი გარინდულა. მათ დუმილით სცეს პატივი დაბომბვის მსხვერპლთ.

დღეს, ნათქვამია „მსოფლიოს ფიცში“, რომელიც ცერემონიაზე წაიკითხა ერთ-ერთმა დაზარალებულმა, ცდილობენ დაგვავიწყონ უბედურებანი, რომლებიც მოაქვს ომს. საჭიროა სამუდამოდ მოეღოს ბოლო ომს, აიკრძალოს ატომური იარაღის წარმოება და გამოყენება. ფიცს ვდებთ, რომ განვაგრძობთ ბრძოლას მსოფლიოსათვის, სადაც აღარ იქნება ომი და ატომური იარაღი.

ამ ფიცის ტექსტი გაეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს.

ამერიკელების მიერ ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებული ორი ატომური ბომბისაგან დაიღუპა თითქმის 300 ათასი კაცი. მაგრამ ხალხი დღესაც იხოცება ატომური დაბომბვის შედეგების გამო. ნაგასაკში შარშან გარდაიცვალა 101 კაცი.

უსამართლო სასამართლო

ნიუ-იორკი

10 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ოკლენდში დაითხოვეს ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომელმაც ექვსი დღის განმავლობაში ვერ გამოიტანა განაჩენი „შავი ავაზის“ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ჰიუ ნიუტონის „საქმის“ გამო.

ამრიგად, უკვე მეორედ სასამართლომ ვერ გამოიტანა გადაწყვეტილება ნიუტონის წინააღმდეგ შეთითხნილი „პოლიციელის მკვლელობის“ ბრალდების გამო.

სასამართლო გარჩევების დროს ნიუტონმა განაცხადა, რომ დამნაშავე არ არის.

მაგრამ კალიფორნიის ხელისუფლებმა, რომლებსაც სურთ დასაჯონ ზანგთა პროგრესული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ნიუტონის „საქმე“ კვლავ გადასცეს გასარჩევად.

ჟიურის დათხოვნის შემდეგ ნიუტონის ადვოკატმა ჩარლზ გერიმ განაცხადა: „ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მთელი ჩვენი სასამართლო სისტემა გამსჭვალულია რასიზმით და ეჭვიც არ არის რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია სამართლიანად გაასამართლონ „შავი ავაზის“ პარტიის წევრი, და განსაკუთრებით, მისი ხელმძღვანელი მოღვაწე“.

ვაშინგტონი

ბრძოლა ძალაუფლებისათვის

10 აგვისტო. (საკდესი). ჰაიტში მწვავდება ბრძოლა ძალაუფლებისათვის. პრეზიდენტის პორტ-ო-პრენსის სასახლეში სხვადასხვა დაჯგუფებანი ქიმპობენ, რათა მიუახლოვდნენ პრეზიდენტის სავარძელს, რომელიც უკავია ოცი წლის სტუდენტს ჟან კლოდ დიუვალიეს.

მან „ეს სამუდამო პოსტი“ მიიღო მიმდინარე წლის აპრილში მამამისის — ჰაიტის ტირანის სიკვდილის შემდეგ.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარი“ იუწყება, მეტოქეობა გამწვავდა პრეზიდენტის პირადი მდივნის პოსტიდან მარი დენიზ დიუვალიეს, გარდაცვლილი ტირანის უფროსი ქალიშვილის წასვლის შემდეგ, რომელსაც ახლანდელი რეჟიმის „ძლიერ პიროვნებას“ უწოდებენ.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მარი დენიზ დიუვალიემ თავისი პოსტი იმიტომ მიატოვა, რომ კონფლიქტი მოუვიდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან ლუკნერ კამბრონთან, პრეზიდენტის პირადი დაცვის ყოფილ უფროსთან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის დაუჭერს მხარს არმია. უარმიოდ საეჭვოა, რომ კამბრონმა გაიმარჯვოს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.

პრეზიდენტის პორტ-ო-პრენსის სასახლეში მდგომარეობა მწვავდება, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ჟ. კ. დიუვალიემ მოაწყო რამდენიმე „წმენდა“ თავის შესაძლო მეტოქეთა შორის.

რიო-დე-ჟანეირო

პოლიციის კომისარი და ნარკოტიკები

10 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის პოლიციამ ტუპანატინგის მამულში (პერნამბუკუს შტატი) აღმოაჩინა 20 ტონა მარიხუანის ნედლეული. მამულის გარშემო პლანტაციაში დათესილი აღმოჩნდა კულტურა, რომლისაგანაც იღებენ ამ ნარკოტიკს.

თურმე მამული და პლანტაცია ეკუთვნის... პოლიციის კომისარს ჟოაო ბატისტა დოს სანტოსს.

პოლიციამ მოსპო ნედლეული და ნათესები. რაც შეეხება მათ მეპატრონეს, პოლიცია თავს იკავებს სანქციებისაგან მის წინააღმდეგ.

ტელეტაიპის ლენტიდან

- **პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში** გამოაცხადეს, რომ 11 აგვისტოს სპეციალური სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგება „სახალხო ლიგის“ პარტიის ლიდერი მუჯიბურ რაჰმანი, რომელსაც ბრალად დებენ „საომარი მოქმედების გაჩაღებას“ პაკისტანში. „სახალხო ლიგის“ პარტიამ ქვეყნის ეროვნული ასამბლეის არჩევნების დროს მიიღო 160 ადგილი იმ 162 ადგილიდან, რომლებიც ამ დამფუძნებელ კრებაში ეკუთვნის აღმოსავლეთ პაკისტანს.
- **ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა** ინდირა განდიმ პარლამენტის სახალხო პალატას წარუდგინა კანონპროექტი ინდოეთის სამთავროების ყოფილ მმართველთა პენსიებისა და პრივილეგიების ლიკვიდაციის შესახებ. ამ კანონპროექტის მიღება გაათავისუფლებს უზარმაზარ ფინანსურ სახსრებს, რომლებსაც ახლა ყოფილ თავადებს უხდიან, და მოახმარს მათ ინდოეთის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნის პროგრამის შესრულებას.
- **ფრანკფურტის ბირჟამ** გამოაცხადა, რომ კვლავ შეიცვალა ამერიკული დოლარის კურსი. იგი დაეცა ყველაზე დაბალ დონემდე მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის მაისში გფრ-ის მთავრობამ შემოიღო დასავლეთგერმანული მარკის მერყევი კურსი დოლარის მიმართ. ახლა ეს კურსია 3,4242 მარკა ერთ დოლარში. ეს ნიშნავს დასავლეთგერმანული მარკის ფაქტიურ რევალვაციას 6,9 პროცენტით.
- **ირანის ჩრდილოეთში** მოხდა 7 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. მაზენდერანის პროვინციაში დაინგრა 1.000-მდე სახლი. 80-ზე მეტი კაცი დაშავდა.

ბუნება და ადამიანები

ცეილონი.

კაუჩუკის ხის წვენის შეგროვება.

ფოტო ბტა-საკდესისა.

იაპონია.

მთელი თვის წვიმების შემდეგ როგორც იქნა დადგა ცხელი, უღრუბლო დღეები. სოფლის მეურნეობის მშრომელებს კი ტრადიციული საზრუნავი გაუჩნდათ. სურათზე: ბრინჯის ნათესში.

ფოტო ჯაპან პრეს-საკდესისა.

დაპატიმრება სუდანში

ლონდონი. 10 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს და ხართუმიდან იტყობინება, რომ ამ ბოლო დღეებში სუდანში დააპატიმრეს ორი ათასამდე კაცი, რომლებსაც ბრალად სდებენ კომპარტიის წევრობას.

ნიმეირის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჟურნალი „ტაიმი“ წერს, გენერალმა ნიმეირიმ განაცხადა, რომ სუდანში ამასწინანდელი კონტრგადატრიალების შედეგად გაუმჯობესდა სუდანის ურთიერთობა ჩინეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ნიმეირიმ ამ ჟურნალის კორესპონდენტს უთხრა, „შესანიშნავი“ ურთიერთობა გვაქვს ჩინეთთან და „სულ უფრო ფართოვდება ჩვენი თანამშრომლობა ჩინელებთან ყველა დარგში“.

„ამერიკასთან ურთიერთობაც გაუმჯობესდა და იმედი მაქვს, რომ შესაძლებელი გახდება მისი განვითარება“, — თქვა ნიმეირიმ.

დღეს აღთქმულ მიწაზე

უკანასკნელ ხანს ამერიკის პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომლებიც აღიარებენ სიღატაკის არსებობას ისრაელში. გაზეთები წერენ, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის ოც პროცენტზე მეტი სიღატაკის პირზეა მიმდგარი. თელ-ავივში ყოველი მეოთხე ოჯახი ჯურღმულებში ცხოვრობს.

რამ აიძულა ამერიკული პრესა გადაეხვია თავისი ჩვეული მანერისათვის, რომელიც ისრაელს ყოველთვის წარმოადგენდა როგორც აღთქმულ ქვეყანას? არა გვგონია, რომ ეს გაღვიძებული სინდისის ბრალი იყოს; მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, უკანასკნელი დროის მოვლენებში იმალება.

საქმე ის არის, რომ ისრაელში არც თუ დიდი ხნის წინათ შეიქმნა „შავი ავაზების“ მოძრაობა (არ უნდა აგვერიოს ამერიკის შეერთებული შტატების ამავე სახელწოდების ორგანიზაციაში. — რედ.). მათ მიერ მოწყობილმა დემონსტრაციებმა და გამოსვლებმა შეარყია ქვეყანა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იერუსალიმში გამართულმა დემონსტრაციამ. როგორც ცნობილია, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციის გაძლიერებული რაზმები. მანიფესტაციის მრავალ მონაწილეს სცემეს, ასობით დააპატიმრეს.

ინტერესს მოკლებული როდია პრემიერ-მინისტრის გოლდა მეირის რეაქცია ამ გამოსვლებზე. მან ისინი დაახასიათა როგორც „ლაწირაკთა დებოში“. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ დებოშმა ბევრი ჩააფიქრა ტელ-ავივში იმ მოთხოვნებზე, რომლებიც დემონსტრანტებმა წამოაყენეს.

„შავი ავაზების“ ორგანიზაცია შექმნეს ახალგაზრდა სეფარდებმა (აზიიდან და აფრიკიდან გამოსული ებრაელები — რედ.) მიმდინარე წლის იანვარში. იგი სწრაფად გაიზარდა და ერთი პატარა ჯგუფი იქცა ორგანიზაციად, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ათასობით წევრს. „შავმა ავაზებმა“ თავიანთ მიზნად გამოაცხადეს იმ დისკრიმინაციის მოსპობა, რომელსაც ებრაელი-სეფარდები განიცდიან.

აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან (იემენი, ერაყი, მაროკო და სხვ.) ისრაელში ჩამოსული ეს ადამიანები ახლა ისრაელის მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ. ისინი განიცდიან დისკრიმინაციას აშკენაზებისაგან (ევროპიდან და ამერიკიდან გამოსული ებრაელები — რედ.), რომლებიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ.

სეფარდების უმრავლესობა ღარიბი და გაუნათლებელია, ისინი სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე იმყოფებიან და ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომ თითქმის არაფრით განსხვავდებიან ისრაელის არაბული წარმოშობის მოსახლეობის მდგომარეობისაგან. მათ უმეტესად მცირეხელფასიან სამუშაოზე იყენებენ. მთავრობის მონაცემების მიხედვით სეფარდის ოჯახის საშუალო წლიური შემოსავალი დასავლეთის ქვეყნებიდან გამოსული ოჯახის შემოსავლის 38,6 პროცენტს შეადგენს. ერთი ამისთანა ოჯახის, ზოხარ ამოიელის ოჯახის ცხოვრება აღწერილია „ისრაელ ხორიზონის“ ერთ-ერთ ნომერში.

„ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა გულკეთილი ზოხარისადმი. იგი 41 წლისაა. ცხოვრობს ქმართან და ცხრა შვილთან ერთად პაწაწკინტელა ათბინიანი ძველი სახლის მეორე სართულზე... მთელ სართულზე ერთი საპირფარეშოა, ამოიელების ბინა შესასვლელისა და ერთი ციცქნა ოთახისაგან შედგება. შესასვლელს სამზარეულოდ იყენებენ, აქვე რეცხავენ, ბანენ ბავშვებს. ღამით მაგიდა და სკამები „სამზარეულოში“ გააქვთ და ოთახს საძინებლად ამზადებენ“.

აი როგორ პირობებს უქმნიან ხელისუფალნი სეფარდებს განათლების მისაღებად: სეფარდების შვილები შეადგენენ დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა სამოც პროცენტს. მეორე საფეხურის სკოლებში მათი რიცხვი უკვე ოცდახუთამდე ეცემა, უმაღლეს სასწავლებლებში კი ათ პროცენტამდე.

სეფარდების დისკრიმინაცია სულ უფრო ძლიერდება. ისინი შეიძლება აშკარად და დაუსჯელად შეურაცხყონ. „წოდება „კუშიმ“ (ბიბლიური ზანგი — რედ.), — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, იგივე აზრი მიიღო ისრაელში, რაც „ნიგერმა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში“. სეფარდები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი ხელისუფლების ორგანოებში. მათ კნესეტში 120 ადგილიდან მხოლოდ 20 უჭირავთ.

პოლიტიკოსმა აშკენაზებმა შეიმუშავეს „თეორია“, რომლის მიხედვით ისრაელი — ეს არის აღმოსავლეთში მხოლოდ გეოგრაფიულად მდებარე დასავლეთის ქვეყანა. ტელ-ავივის ხელისუფალნი არაფრის წინაშე არ იხევენ უკან, ოღონდ ძირშივე ჩაახშონ სეფარდების კულტურული მისწრაფებანი, მათ შვილებს აქედანვე უმზადებენ ისრაელის საზოგადოებაში მეორეხარისხოვან როლს.

ასეთი წესები სუფევს ახლა ამ ქვეყანაში, წესები, რომლებიც აგებულია რასისტულ-სიონისტურ კონცეფციებზე. სწორედ ისინი გახდნენ მიზეზი „შავი ავაზების“ გამოსვლებისა. ამ გამოსვლებმა კი თავის მხრივ აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების პრესა უარი ეთქვა აპრობირებულ შაბლონზე „აღთქმული მიწის“ ცხოვრების გაშუქებისას.

ჯ. ლუმერი,
ამერიკელი პუბლიცისტი.

მებადურის უცნაური თავგადასავალი

ჯეკ სიკორდი ტრაულერ „ენტონი ჯეის“ შკიპერი წლების განმავლობაში იჭერს თევზს წყნარი ოკეანის კანადის სანაპიროსთან. ბუზღუნებს, იხდის გადასახადს, იცავს ყველა კანონსა და წესს. საზრუნავი უამრავი აქვს. დაიჭიროს თევზი, მიჰყიდოს მებითუმეს, იყიდოს არც თუ იაფი საწვავი, შეაკეთოს სათევზაო აღჭურვილობა... მაგრამ სიკორდს არასოდეს არც კი წარმოედგინა, რომ ყველა უბედურებასთან ერთად კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩნდებოდა: ყველასათვის და თავისთვის მოულოდნელად იგი საერთაშორისო კონფლიქტის ცენტრში აღმოჩნდა.

საქმე შემდეგში იყო. „ენტონი ჯეი“ პალტუსს იჭერდა კანადის წყლებში, ამერიკის, ალასკის შტატის საზღვრის სამხრეთით. მოულოდნელად გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის გემი „კეიპ რომენი“, და სიკორდს განუცხადეს, რომ მისი ტრაულერი დაკავებულია იმიტომ რომ შეერთებული შტატების ტერიტორიულ წყლებში იმყოფება. ჯეკი იძულებული იყო მიეტოვებინა რეწვა და „კეიპრომენს“ გაჰყოლოდა კეტჩიკანში, ალასკაზე.

— ალბათ გაანგარიშებაში მოვტყუვდი, — ფიქრობდა შკიპერი, როდესაც ნებაყოფლობით მიჰყვებოდა ამერიკელს. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მან დააზუსტა ამერიკელებთან კოორდინატები და რუკების ნომერი, პასუხი რომ მიიღო, ჯეკი მიხვდა, რომ არავითარი შეცდომა არ დაუშვია. „ენტონი ჯეი“ კანადის წყლებში იმყოფებოდა. მაშ სად გადის საზღვარი, — ჰკითხა სიკორდმა.

— რა მნიშვნელობა აქვს? — უპასუხეს მას, — თქვენ იმყოფებით ჩვენს წყლებში და არღვევთ პალტუსის ჭერის ხელშეკრულებას.

სიკორდმა რადიოთი შეატყობინა მომხდარი ამბავი კანადის ხელისუფალთ პრინც რუპერტის კუნძულზე. იქიდან დაუდასტურეს, რომ მას არავითარი ხელშეკრულება არ დაურღვევია და მითითება მისცეს შინ წამოსულიყო. მაშინ ჯეკმა გადაჭრა სათევზაო აღჭურვილობა და მთელი სიჩქარით თავის ნავსადგურში გაეშურა. 12 საათის განმავლობაში, კანადის წყლებში, მისდევდა მას ამერიკული სასაზღვრო გემი, განუწყვეტლივ ნიშანს აძლევდა ტრაულერს, უბრძანებდა გაჩერებულიყო. დაემუქრა სროლის ატეხით, და ასე გაგრძელდა კანადის ნავსადგურამდე.

მებადურმა დაკარგა ნანადირევი, 2 ათასი დოლარი ღირებულების სათევზაო აღჭურვილობა, რეწვისათვის ძვირფასი დრო...

ნავსადგურში ტრაულერის დაბრუნების რამდენიმე წუთის შემდეგ კანადის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა ალასკის შტატის ხელისუფალთ. კანადის თევზისა და ტყის მრეწველობის მინისტრმა ჯეკ დევისმა პარლამენტში განაცხადა, რომ როგორც კანადური, ისე ამერიკული რუკების მიხედვით „ენტონი ჯეი“ კანადის წყლებში იმყოფებოდა და რომ ინციდენტი მეტად სერიოზულია, მაგრამ კანადელი მებადურები განაგრძელებენ რეწვას ამ რაიონში.

თევზისა და ტყის მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსმა მორის ჰაუტონმა ეს ამბები დაახასიათა როგორც „სერიოზული საერთაშორისო კონფლიქტი“.

„კანადა ღრმად არის შეურაცხყოფილი“, წერდნენ „მონრეალ სტარი“ და სხვა გაზეთები.

ვაშინგტონში არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია კანადის პროტესტს.

რაშია საქმე?

მრავალი კანადელი მიმომხილველი დარწმუნებულია, რომ ამერიკელ მესაზღვრეთა პროვოკაციული აქცია წინასწარგანზრახული და წინასწარმომზადებული იყო. ამის მიზეზად თვლიან კანადისა და საბჭოთა კავშირის საქმიან კონტაქტების გაქტივიზაციას, აგრეთვე კანადელთა მისწრაფებას დამოუკიდებელი პოლიტიკა განახორციელონ.

ახალი ამბების სააგენტო.

საქართველოს მთა-ბარში

ხობიდან პოლონეთში

ხობი. (საკ. კორ.). ხობის რაიონის საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის ნახელავს შარშან დიდი მოწონება ხვდა პოლონეთში. ამიტომ პოლონელებმა წელსაც 40 ტონა სურნელოვანი პროდუქციის დაკვეთა მისცეს ფაბრიკას.

სეზონის დაწყების პირველ თვეებში ფაბრიკამ 20 ტონა ჩაი გაუგზავნა დამკვეთს. ამ დღეებში კი კიდევ 20 ტონა ქართულ ჩაის მიიღებენ პოლონელი მშრომელები.

ცხინვალური პარკეტი

ცხინვალი. (საკ. კორ.). ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი დღითიდღე აფართოებს პარკეტის გამოშვებას. აქ ამ პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

პარკეტის საამქრომ ივლისის დავალება 111 პროცენტით შეასრულა.

ახალციხური კონსერვები

ახალციხე. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში უკვე გამოუშვა 1.250 ათასი პირობითი ქილა ხილ-ბოსტნეულის კონსერვები.

კოლექტივის ვალდებულებაა წლის ბოლომდე გამოუშვას 6 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.750 ათასისა.

კოლხიდის სახლ-მუზეუმი

ხობი. (საკ. კორ.). კოლხიდის ცენტრი — ხობი! ძველად ჭაობები, უგზოობა, სიღარიბე, მალარია სულს უხუთავდა მოსახლეობას. ბერძენი ფილოსოფოსი და ანტიკური მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე ძველი კოლხიდის შესახებ წერდა:

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის მდინარე ფაზისი (რიონი), არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით. მთელი წლის განმავლობაში იქ კოკისპირული წვიმები იცის. იქაური მკვიდრნი ჭაობებში ცხოვრობენ, წყალში იშენებენ სახლებს ხისას ან წნელისას. ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არიან ავად. ამ ქვეყანაში ბევრი არხია. შიგ უყრიათ მთლიანი ხისაგან ამოხვეწილი ნავები და ამ ნავებით უვლიან გარშემო თავიანთ ადგილ-მამულს, ხმარობენ წვიმის წყალს, დუბელასა და სიცხისაგან აშმორებულს“...

მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ისტორიის კუთვნილება გახდა. დღეს კოლხიდის ცენტრს მრავალსართულიანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, ორსართულიანი კოპწია ოდა-სახლები, თურინჯები და ნარინჯები, მოასფალტებული და მოხრეშილი გზები ამშვენებენ. გაჩნდნენ ახალი სოფლები, დასახლებანი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები საუკუნეობით დაჭაობებულ, ამჟამად ამოშრობილ მიწებზე.

საშვილიშვილო საქმე გააკეთა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ დირექციამ. მან ჭახუს პლატოზე ააშენა ორსართულიანი თანამედროვე ტიპის კარგი შენობა კოლხიდის მუზეუმისათვის. იგი მაღლიდან გადაჰყურებს კოლხიდის დაბლობს. აქედან კარგად მოჩანს შავი ზღვის მოლივლივე ტალღები, ახალი კოლხიდის სოფლები და ქალაქები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველ-მინდვრები.

კოლხიდის ეთნოგრაფიული სახლ-მუზეუმი ახლახან შევიდა ექსპლოატაციაში. აქ მოთავსებული ექსპონატები ძველი და ახალი კოლხიდის ისტორიაზე მოუთხრობს შთამომავლობას. დარწმუნებული ვართ, რომ მეზობელი რაიონების კეთილი ადამიანები ამ სახლ-მუზეუმს ბევრ ექსპონატს შესძენენ, უფრო გაამდიდრებენ და ძველი და ახალი კოლხიდის ცხოვრების ამსახველ სახლ-მუზეუმად გადააქცევენ.

სურათზე: კოლხიდის სახლ-მუზეუმი.
ფოტო მ. თათარიშვილისა.

კანონს ყველა უნდა იცავდეს

ცრუმოწმენი

ხანდახან გაიგონებთ, რომ დამნაშავემ საკადრისი სასჯელი ვერ მიიღო, ან დაუსჯელი დარჩა. ასეთი განცხადებები ძლიერ აღელვებს ჩვენს საზოგადოებას და ყველაზე უფრო კი ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებს, რადგან სწორედ ამ ორგანოების მუშაკები არიან მოწოდებულნი შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ დანაშაულობასთან. ხშირ შემთხვევაში საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავენ, რათა დამნაშავე დაუყოვნებლივ ამხილონ, მაგრამ სასამართლოს სხდომაზე შეუძლებელი ხდება განაჩენის დადგენა, და პირი, რომელსაც ბრალად მძიმე დანაშაული ედებოდა, გამართლებული გამოდის ანდა არასათანადო სასჯელს იღებს.

რატომ ხდება ასე?

ცნობილია, რომ მთელი რიგი დანაშაულობების გამომჟღავნება და ბრალეულობის დადგენა ხშირად მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებზეა დამოკიდებული. სასამართლოს შემადგენლობა მოკლებულია შესაძლებლობას პიროვნება ცნოს დამნაშავედ და შეუფარდოს კანონით დადგენილი სასჯელი, თუ მისი ბრალეულობა დადასტურებული არ იქნა სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ ემყარებოდეს სავარაუდო მონაცემებს, ამიტომ საქმეზე მოწმის ან დაზარალებულის სახით გამავალი პირების მიერ ჩვენების შეცვლა და დანაშაულებრივი ქმედების ეჭვქვეშ დაყენება, თანახმად ზემოთ მითითებული მუხლისა, ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.

იციან რა კანონის ეს მოთხოვნა, არაკეთილსინდისიერი მოწმენი ან დაზარალებულნი სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ სასამართლოს შემადგენლობა შეცდომაში შეიყვანონ, რათა იხსნან დამნაშავენი პასუხისმგებლობისაგან. სწორედ ასეთი ადამიანების შესახებ მინდა მოგითხროთ, რომლებიც, ნაცვლად დახმარებისა, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს შეგნებულად უშლიან ხელს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოქალაქე ე. კუბლაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სარევიზიო განყოფილების თანამშრომელია. მას კარგად ესმის საბჭოთა კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ იგი როდი მოიქცა კანონის მოთხოვნის შესაბამისად. რამდენიმე ხნის წინათ რესტორან „ვარძიაში“ იგი შეესწრო ბოროტმოქმედების — შენგელიას, არველაძის და სხვათა მიერ მოქალაქე ოთარაშვილის მოკვლის განზრახვას, რაც გამოიხატა მუცლისა და გულის არეში დანის ჩარტყმით. იმ მომენტში შემთხვევის ადგილზე კუბლაშვილმაც მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნული ფაქტის შესახებ მან გამოძიებას მისცა სწორი ჩვენება ბრალდებულების ქმედობის შესახებ, უფრო მეტიც, ბოროტმოქმედთა თანადასწრებით აღწერა შენგელიას და არველაძის მიერ ოთარაშვილისათვის გულმკერდისა და მუცლის არეში, დანის დარტყმის მომენტები, სწორედ ამან აიძულა ბოროტმოქმედები გამოძიების დროს ელიარებინათ თავიანთი დანაშაული.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე კი კუბლაშვილმა შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ იგი არ შესწრებია არამც თუ ოთარაშვილისათვის დანის დარტყმის მომენტს, არამედ დანაც არ შეუნიშნავს შენგელიასა და არველაძის ხელში.

კუბლაშვილი პასუხისგებაში მიეცა ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განჩინებით და საბრალდებულო სკამზე მჯდომმა პატიება სთხოვა სასამართლოს და განმარტა, შემცდარიყო როგორც მეზობლები და ამიტომ მივეცი სასამართლოს ცრუ ჩვენებაო.

მკვლელები საკადრისად დაისაჯნენ, ხოლო ცრუ მოწმე კუბლაშვილს სასჯელის ზომად შეეფარდა ერთი წლით შრომაგასწორებითი მუშაობა.

ცრუ ჩვენების მიცემას შეეცადნენ სასამართლოს სამსჯავროს სხდომაზე ს. ჯარიაშვილი და ო. თაბორიძე. აღნიშნულმა პირებმა მოინდომეს ეხსნათ ხულიგნობისათვის პასუხისგებაში მიცემული ი. წეველიძე, რომელმაც ქუჩაში, საჯაროდ ლანძღა, აგინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქე ქ. კორკოტაშვილს.

ჯარიაშვილმა და თაბორიძემ განაცხადეს თითქოს წეველიძეს ხულიგნობა არ ჩაედინოს და როგორ მიიღო სხეულის დაზიანება ქ. კორკოტაშვილმა, საკვირველიაო.

ცრუმოწმენი საკადრისად დაისაჯნენ.

ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მოქალაქე გ. მუხიგულაშვილს. მან უყოყმანოდ შეცვალა პირვანდელი ჩვენება სახალხო სასამართლოს წინაშე და შეეცადა ეხსნა პასუხისმგებლობისაგან თაღლითი ს. დარჯანია, რომელმაც დიდი თანხა გამოსტყუა მოქალაქეებს და მათ შორის თვით მუხიგულაშვილს.

არიან პირები, რომლებმაც ალბათ არ იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სასამართლოსათვის მათ ჩვენებას და ცვლიან მას, რის გამო ზოგჯერ სასამართლო შეცდომაში შეჰყავთ და უდანაშაულო პირიც საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდება. 1970 წლის 1 დეკემბერს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში ირჩეოდა სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანის ა. გელაშვილის საქმე. მან მიატოვა ჩართული ელმავალი, რომლის სახურავზე, ელმავლის ტექნიკური ვარგისიანობის გასასინჯად, ავიდა დეპოს ზეინკალი თ. ჩიტორელიძე.

თ. ჩიტორელიძე მოხვდა ძაბვის ქვეშ და ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიების მსვლელობის დროს ა. გელაშვილი თავს სცნობდა დამნაშავედ. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მოწმე ტ. ბოლქვაძემ გადაწყვიტა ეხსნა პასუხისმგებლობისაგან ა. გელაშვილი და სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება ჩართული ელმავალი ა. გელაშვილმა კი არა, რკინიგზის თანამშრომელმა ი. ჯაფარაშვილმა მიატოვაო. ბოლქვაძე ალბათ ვერ მიხვდა თავის დანაშაულს, მაგრამ თვით ა. გელაშვილი შეაწუხა სინდისმა და განაცხადა: „როცა ჩემი ბრალდების საქმე პირველად იხილებოდა, ტარიელ ბოლქვაძე დამეთანხმა მიეცა ცრუ ჩვენება ჩემს სასარგებლოდ“. განა ამაზე მეტი სულმდაბლობა შეიძლება? ამჟამად ტ. ბოლქვაძე საბრალდებულო სკამზე ზის და სასჯელს ელის.

საბჭოთა მართლმსაჯულება შეუპოვრად ებრძვის ცრუმოწმეებს, რომელთა ყალბი ჩვენებების გამო ზოგჯერ შეცდომაში შედიან სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანოები. შეცდომას კი შესაძლებელია, საბედისწერო შედეგი მოჰყვეს. ამიტომ თვითეული საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია იყოს პირნათელი და უანგარო თავისი სინდისისა და საზოგადოების წინაშე.

რ. ჯოლოშვილი,
თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლე, დოცენტი.



გ. გ. ბედენაშვილი — ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის წვრილ ცხოველთა დაავადებების შემსწავლელი განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატმა **გიორგი გიორგის-ძე ბედენაშვილმა** ერევნის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე **„სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ლისტერიოზი საქართველოს სსრ-ში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. გ. ბედენაშვილისათვის ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

საქართველოს კურორტები

შოვი — სიჯანსაღე, ჯანმრთელობა!

მშვენიერია კურორტი შოვი. მდინარე ჭანჭახის ხეობა, კავკასიონის თვალწარმტაცი მთაგრეხილები, ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის საუკუნოვანი უდაბური ტყეები, სამკურნალო წყაროების სიმრავლე მრავალ დამსვენებელს იზიდავს. აქაური მთის ჰაერი საუკეთესო შედეგს იძლევა ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმებისა და ქრონიკული ბრონქიტის მკურნალობისას. კურორტის ტერიტორიაზე მოჩუხჩუხე მჟავე წყლები კურნავენ სისხლნაკლებობას, კუჭის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს.

ვინ მოთვლის, რამდენ გულითად მადლობას, თბილ სიტყვას ამოიკითხავ შთაბეჭდილებათა წიგნში. „მადლობა კურორტის თანამშრომლებს კარგი მომსახურებისათვის“, „კმაყოფილი ვართ, დავისვენეთ შესანიშნავად!“. ერთ-ერთ დამსვენებელს თავისი აღტაცება ლექსად გამოუთქვამს.

კურორტის რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობამ წელს დიდი შრომა გასწია, რათა სანიმუშოდ შეხვედროდნენ დამსვენებლებს. საცხოვრებელ კორპუსებს დროულად გაუკეთდა რემონტი, ყველა სამზარეულო გადაყვანილ იქნა ელექტროენერგიით გათბობაზე, დაიდგა ახალი ტექნოლოგიური დანადგარები, რამაც გააუმჯობესა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, დააჩქარა საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობა, საბინაო ფონდს შეემატა ათოთახიანი კოტეჯი, დამსვენებელთა სამსახურში ჩადგა ახალი სასურსათო მაღაზია, სასაუზმე და ბაზარი. დიდი ყურადღება მიექცა ქუჩებისა და გაზონების კეთილმოწყობას. დაიდგა 28 ახალი ლამპიონი, კურორტის პარკში ოთხი სხვადასხვა სახის გასართობი კარუსელია. კურორტის მშვენებაა ონი-შოვის კეთილმოწყობილი, მოასფალტებული გზატკეცილი, რომელზეც ყველა მარკის ავტომანქანები დასრიალებენ.

კარგია კურორტი შოვი დღეს, მაგრამ იგი კიდევ უკეთესი იქნება ახლო მომავალში. ახალ ხუთწლედში აქ დიდი სამშენებლო სამუშაოებია გათვალისწინებული. მთის ბობოქარი მდინარის ჭანჭახის მარჯვენა სანაპიროზე უკვე დაიწყო ორი შვიდსართულიანი 500-ადგილიანი ახალი კორპუსის მშენებლობა. აქვე აგებენ 500-ადგილიან სასადილოს, სამრეცხაოს, კინოთეატრის შენობას, ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობას. გათვალისწინებულია 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება თანამშრომლებისათვის. მთელი დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა 8 მილიონი მანეთი ჯდება.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: კურორტი შოვი. კურზალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

პირველი სტარტები

გუშინ ჰელსინკში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის მეათე ჩემპიონატი მძლეოსნობაში. სტარტზე გამოვლენ 29 ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან მსოფლიოს რეკორდსმენები, ოლიმპიური ასპარეზობათა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები.

პირველი დღის პროგრამის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ბირთვის კვრა ქალთათვის, 10.000 მეტრზე რბენა და სპორტული სიარული 20 კილომეტრზე.

ფეხბურთის მოედნებზე

საბჭოთა კავშირს ეწვია რუმინეთის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ბაკეუ“. პირველი საერთაშორისო მატჩი სტუმრებს ჰქონდათ 9 აგვისტოს დონეცკში სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან. პირველი ტაიმი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ 3:0. ბურთები მე-5 წუთზე პენალტით, აგრეთვე მე-17 და მე-20 წუთზე გაიტანეს ვერემეევმა, იშტოიანმა და მაჩაიძემ. მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს რუმინელებმა, მათ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი (78-ე წუთზე პენალტით ვეტაფუმ და 81-ე წუთზე რუჯუბეიმ), მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 2:3. 12 აგვისტოს „ბაკეუ“ შეხვდება ბაქოს „ნეფტჩის“.

სირიის არმიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს საბჭოთა კავშირში. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა სტუმრებს 9 აგვისტოს ჰქონდათ ლვოვში ადგილობრივ „კარპატთან“ და დამარცხდნენ 0:2. გოლების ავტორები იყვნენ ხიჟაკი და ლიხაჩოვი. მორიგი მატჩი სირიელ ფეხბურთელებს ექნებათ 13 აგვისტოს დონის როსტოვში ადგილობრივ არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან.

„ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მორიგი ტურის მატჩები შედგა 9 აგვისტოს. მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. ლოკომოტიველები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს 5:0. დღეისათვის „ლოკომოტივს“ 25 თამაშიდან 38 ქულა აქვს და ლიდერია. ამდენივე თამაშიდან ქუთაისის ტორპედოელებს 26 ქულა აქვთ.

9 აგვისტოს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი პოლონეთის ქალაქ გდანსკს ეწვია, სადაც საერთაშორისო მატჩი ექნება ამ ქვეყნის ნაკრებთან. ეს შეხვედრა დღეს გაიმართება. საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ნიკოლაევმა განაცხადა — მეტოქე მეტად ძლიერია და მასთან შეხვედრა, რა თქმა უნდა, მეტად პასუხსაგებია. შეჯიბრება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ჩვენს ნაკრებში რამდენიმე დებიუტანტია, რომელთა გამოცდას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მატჩის მეორე ნახევარი ტელევიზორით ნაჩვენები იქნება 21 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

მცირე შესვენების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალით, საერთაშორისო შეხვედრებით და ჩვენი ქვეყნის ნაკრებთა მზადებით, უმაღლესი ჯგუფის გუნდები 13 აგვისტოდან განაახლებენ ბრძოლას. ამ დღეს შედგება 3 მატჩი. მოსკოვის „ტორპედო“ საკუთარ მოედანზე შეხვდება ალმა-ატის „კაირატს“, ვოროშილოვგრადის „ზარია“ — ლენინგრადის „ზენიტს“, დონეცკის „შახტიორი“ — ლვოვის „კარპატს“.

ჭადრაკი

პროფესორ ელოს სისტემით

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია ოფიციალურად აღიარებს პროფესორ ა. ელოს (აშშ) „კოეფიციენტების სისტემას“. ამ სისტემით ხდება თვითეული ცნობილი გროსმაისტერის ძალის განსაზღვრა. გათვალისწინებულია მოჭადრაკეების ყველა საერთაშორისო თუ ეროვნული მნიშვნელობის ტურნირები. თუ მოჭადრაკემ კარგად ითამაშა, მას „კოეფიციენტების სისტემაში“ ქულები ემატება, ყოველი მარცხის შემთხვევაში კი იგი ჯარიმდება (ქულები აკლდება). რა თქმა უნდა, „კოეფიციენტების სისტემა“ ითვალისწინებს შეჯიბრების მნიშვნელობასაც. პირველ რიგში ყურადღება ექცევა მატჩებს მსოფლიოს პირველობაზე, პრეტენდენტთა შეჯიბრებებს, დიდ საერთაშორისო ტურნირებს. თუ მოჭადრაკე ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსად თამაშობს, მას აკლდება ქულები.

ძალზე საინტერესოა, როგორ გამოიყურებიან მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები ამ „კოეფიციენტების სისტემის“ მიხედვით. აი ეს სიაც.

1. **რ. ფიშერი** (აშშ) — 2740 ქულა. 2. **ბ. სპასკი** (საბჭოთა კავშირი) — 2690. 3-4. **ბ. ლარსენი** (დანია) და **ვ. კორჩნოი** (საბჭოთა კავშირი) — 2660 ქულა თვითეულს. 5. **ტ. პეტროსიანი** — 2640. 6-9. **მ. ბოტვინიკი, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი** (ყველა საბჭოთა კავშირიდან) და **ლ. პორტიში** (უნგრეთი) — 2630 ქულა თვითეულს. 10-12. **ვ. სმისლოვი, ლ. შტეინი, მ. ტაიმანოვი** (ყველა საბჭოთა კავშირიდან) — 2610 ქულა თვითეულს. 13. **მ. ტალი** (საბჭოთა კავშირი) — 2610. 14-16. **პ. კერესი** (საბჭოთა კავშირი), **ვ. ჰორტი** (ჩეხოსლოვაკია), **ს. გლიგორიჩი** (იუგოსლავია) — 2600 ქულა თვითეულს. 17-18. **დ. ბრონშტეინი** (საბჭოთა კავშირი) და **რ. ჰიუბნერი** (გფრ) — 2590 ქულა თვითეულს. 19-21. **ა. გიპსლისი, ნ. კროგიუსი** (ორივე საბჭოთა კავშირიდან) და **ვ. ულმანი** (გდრ) — 2580 ქულა თვითეულს. 22-27. **ბ. ივკოვი** (იუგოსლავია), **ო. პანო** (არგენტინა), **ფ. ოლაფსონი** (ისლანდია), **ი. ბალაშოვი, ვ. სავონი, ე. ვასიუკოვი** (ყველა საბჭოთა კავშირიდან) — 2570 ქულა თვითეულს.

აი ისინი — ჩემპიონები

საბჭოთა ჩოგბურთელებს, რომლებსაც სათავეში უდგანან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ალექსანდრე მეტრეველი და ოლგა მოროზოვა, მოსვენება აღარა აქვთ — ტურნირს ტურნირი მოსდევს, ჩემპიონატს ჩემპიონატი და თითქმის ყოველთვის მათ უძლიერესთა, პრიზიორთა რიგებში ვხედავთ. ის ფაქტი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ხუთი ოქროს მედლიდან ოთხი საბჭოთა ჩოგბურთელებმა დაისაკუთრეს, თავისთავად მეტყველებს ჩინებულ ოსტატობაზე.

ხშირად გაიგებთ — ა. მეტრეველი ეს მთელი გუნდიაო. ამ გამოთქმაში უთუოდ არის ჭეშმარიტება.

და აი საბჭოთა ჩოგბურთელებს, პირველ რიგში ა. მეტრეველსა და ო. მოროზოვას ახალი ასპარეზობა მოელით. ეს არის მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი.

სურათზე: სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი.

სტიქია

ვერტმფრენავები მიდიან დასახმარებლად

ბაიკალისპირეთში ციკლონები მძვინვარებდა. ათი დღის კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდდნენ, ნაპირებიდან გადმოვიდნენ ანგარისა და ბაიკალის აუზის მდინარეები.

ყოველ წუთს შეიძლებოდა საჭირო გამხდარიყო დახმარება ჰაერიდან. ვერტმფრენები მოფრინავდნენ ბრატსკიდან, ზიმიდან, ნიჟნეუდინსკიდან. ერთ-ერთი პირველნი ირკუტსკში ჩამოვიდნენ ვერტმფრენთა ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილე ვალერი იაროვოი და ეკიპაჟის მეთაური კომუნისტი ერნსტ იანუშკოვსკი. იმავე დღეს წყალდიდობასთან ბრძოლის საოლქო კომისიიდან მოვიდა ცნობა, რომ გამძვინვარებული ირკუტი წალეკვით ემუქრება დასასვენებელ სახლ „ანჩუკს“. 270-მდე კაცი — დამსვენებლები და მომსახურე პერსონალი — წყალმა მოსწყვიტა გზას. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ირკუტსკიდან ანჩუკამდე, რომელიც მდებარეობს ირკუტსკის ოლქისა და ბურიატეთის ასს რესპუბლიკის საზღვარზე, პირდაპირი ხაზით გზა შორი არ არის — დაახლოებით ასი კილომეტრია, — მაგრამ ტრასა მთიან ტაიგაზე გადის, წყალდიდობის შემდეგ უხვი ანაორთქლი ხილვადობას აძნელებდა. ეკიპაჟებს განუწყვეტელი ორმხრივი კავშირი ჰქონდათ [illegible]. დანიშნულების ადგილას ნაშუადღევს ჩამოვიდნენ. სახლები წყლით იყო დაფარული სახურავებამდე. ისინი თითქოს ცურავდნენ ამღვრეულ, აქაფებულ ტბორში. სამი ყველაზე მაღალი შენობის სახურავებზე ადამიანები შეყუჟულიყვნენ. ვერტმფრენების დანახვაზე გამოცოცხლდნენ.

მანქანები აღჭურვილი იყო ელექტროჯალამბრებით. საკმარისი იყო დაეშვათ ტროსი, რომლის ბოლოზე დამაგრებულია სპეციალური დასაჯდომი დამჭერი ღვედებით, და ყოველგვარ ტვირთსა თუ მგზავრს კნოპის დაჭერით აიყვანდნენ ბორტზე. ასეც მოიქცნენ. მაგრამ სახურავზე ვერც ერთმა კაცმა ვერ გაბედა ოცდაათმეტრიან სიმაღლეზე ასვლა, როცა ქვემოთ წყალი ბობოქრობდა, ვერტმფრენის ხრახნი კი მძლავრ ქარს წარმოშობდა.

ავიატორებმა მაშინვე შეცვალეს თავდაპირველი გეგმა. მათ გადაუგდეს ვიმპელი წარწერით „გაათავისუფლეთ ერთ-ერთი სახურავი“. მოთხოვნა შეასრულეს.

ქვემოთ ჩამოვიდა ავიამექანიკოსი მიხეილ ბრიგადიროვი. მან დაამშვიდა ხალხი, აუხსნა, როგორ მოეწყობოდა ევაკუაცია.

ვერტმფრენი ფრთხილად მიუახლოვდა სახურავს, მაგრამ არ დაეშვა — ეს სახიფათო იყო, იგი ზედ სახურავის თავზე გაჩერდა ჰაერში. მისცეს სიგნალი, და დაიწყო ხალხის ჩასხმა პირდაპირ კაბინაში. ვერტმფრენი აფრინდა და დაჯდა მშრალ მინდორზე სოფელ ბისტრაიას პირას. და ასე განუწყვეტლივ რეისს საშუალოდ წუთ-ნახევარი სჭირდებოდა. ჯერ აჰყავდათ 3-4 კაცი, შემდეგ 5-5. უნდა ეჩქარათ — წყალი მატულობდა.

წყალდიდობასთან ბრძოლაში ირკუტსა და ბაიკალისპირეთის სხვა მდინარეებზე თავი გამოიჩინა ათასობით საბჭოთა ადამიანმა. (საქტასი).

ირკუტსკი.

რუსთავის № 3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს ქვემოთ ჩამოთვლილ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს საშუალო განათლების მიღებით:

1. მეფოლადის ხელშემწყობებს; 2. ბრძმედის მეორე მექურეებს; 3. მსხმელ მეყალიბეებს; 4. მგლინავის ხელისშემწყობებს; 5. ლითონდამუშავების ხარატებს; 6. შემკეთებელ ზეინკლებს; 7. შემკეთებელ ელექტრომონტიორებს.

საშუალო ცოდნის მისაღებად სწავლების ვადაა 3 წელი, ხოლო, მარტო სპეციალობის მისაღებად 1 წელი.

მოსწავლეები, რომლებიც დაამთავრებენ სამწლიან სწავლებას, არჩეულ პროფესიასთან ერთად მიიღებენ ზოგადი განათლების საშუალო ცოდნის სიმწიფის ატესტატს.

მოსწავლეები, რომლებიც სამწლიან სწავლებას დაამთავრებენ „ფრიადი“ შეფასებით, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე. ყველა დანარჩენი სასწავლებელდამთავრებულნი საღამოს უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან საერთო წესით.

სწავლების პერიოდი კურსდამთავრებულ მოსწავლეებს ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟში.

სასწავლებელში მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. რვა კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი და მისი ასლი); 2. პასპორტი სრულწლოვანთათვის; 3. დაბადების მოწმობა და მისი ასლი; 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ; 6. ავტობიოგრაფია; 7. ფოტოსურათი 3X4, 8 ცალი; 8. განცხადება დირექტორის სახელზე.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებების მიღება ყოველდღე 27 აგვისტომდე დილის 9 საათიდან 18 საათამდე.

სწავლის დაწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. რუსთავი. ბოსტანქალაქის ქ. № 8. პროფტექნიკური სასწავლებელი № 3. ტელეფონები: 24-82 ან 24-83. კომუტატორი 24-42.

ტელევიზია

11 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „შეხვედრა ხელოვნების ოსტატებთან“ ს. გიაცინტოვა. 12.05 — მხატვრული ფილმი — „უსასრულო გზები“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — „იყო და არა იყო რა“..., 18.10 — გადაცემა „ეს ყველამ უნდა იცოდეს“, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 18.50 — კონცერტი, 19.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“, 20.35 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე“. 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები. II ტაიმი (გადმოცემა პოლონეთიდან). 22.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ჩექმები“.

მეორე პროგრამით

19.00 — კინოკომედია — „საკუთარი სახლი“, 20.00 — განცხადებები, 20.05 — მხატვრული ფილმი — „მოგვითხრობს ქაროვი“, 21.35 — კონცერტი.

12 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი „ერთი ჩვენგანი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ალექსანდრე პარხომენკო“, 19.30 — „პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“ — „კომუნისტი“, 19.50 — კონცერტი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „ადამიანი და სამყარო“ — „დედამიწის მიზიდულობა“. გადაცემა II, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — სცენები სპექტაკლებიდან, 22.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „შურისგება“, 23.35 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — ექიმის საუბარი, 19.20 — განცხადებები, 19.25 — სატელევიზიო ფილმი, 19.55 — მხატვრული ფილმი „ღამის ზარი“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-8 ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.